# ალია

„ალია“ და „ქრონიკა“ უერთდება მოთხოვნას!






N188/3118/ 23 დეკემბერი 2014 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან


## რა ხდება „მაესტროს“ კულუარებში და რა ცვლილებები მზადდება „რუსთავი 2“-ზე

## „სითი პარკი“ მანქანებს ავტოსადგომზე ვეღარ გადაიყვანს?



## რატომ დაუპირისპირდა თავდაცვის მინისტრს საპარლამენტო უმრავლესობაც?

## რა კორუფციულ გარიგებაში ადანაშაულებენ მინისტრ სანიკიძეს?

## საქართველოში არეულობის მოსაწყობად სააკაშვილი უკრაინაში ლეგიონს ქმნის?

## მიზეზი, რის გამოც კოტე კუბლაშვილის იმპიჩმენტი შესაძლებელია



## რას მოუწოდებს ლუკა კურტანიძე თავის თანამებრძოლებს?



## იაპონიიდან შემოტანილი მანქანებიდან 45 რადიაციული აღმოჩნდა

## დემურ გიორხელიძე: „ახალი წლის შემდეგ ხელისუფლება ლარს სირბილით რომ გამოეკიდოს, მაინც ვერ დაეწევა“



# იაპონიიდან შემოტანილი მანქანებიდან 45 რადიაციული აღმოჩნდა

„ერთიანი დემოკრატიული მოძრაობის“ წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე საზოგადოებას მიმართავს, ყველა იმ მანქანას ჩაუტარონ შემოწმება, რომელიც იაპონიიდანაა ჩამოტანილი. ლორთქიფანიძის თქმით:

„იაპონიიდან შემოსულ მანქანებს აქვთ წითელი „სტიკერი“, რაც ნიშნავს, რომ შემოწმებულია მანქანა რადიაციულ უსაფრთხოებაზე, ჯერ კიდევ იაპონიაში. ძალიან სამწუხაროა ის შედეგი, რომელიც მივიღეთ საბაჟო დეპარტამენტთან ოფიციალური მიმოწერის შედეგად. კითხვაზე, არის თუ არა აღმოჩენილი საქართველოში რადიაციულად საფრთხის შემცველი მანქანები“.

**„ალიას“ დიმიტრი ლორთქიფანიძე ესაუბრა:**

– ონკოჰემატოლოგიური დაავადებების რიცხვი, ძალიან გაზრდილია ქვეყანაში. ჩვენი ავტოპარკი თუ 4 წლის წინათ 800 ათასი იყო, დღეს არის 1 მილიონ 250 ათასი და ეს თავისთავად, ძალიან აბინძურებს ისედაც მძიმე ეკოლოგიურ მდგომარეობაში მყოფ ქალაქს, მაგრამ ის მდგომარეობა, რასაც ჩვენ ყოველდღიურად, სოციალური ქსელების საშუალებით ვიღებთ დაავადებებთან დაკავშირებით, ვერ უძლებს კრიტიკას. რას უნდა უკავშირდებოდეს ასეთი დაავადებების გამოწვევა, დავინტერესდი ამ საკითხით და მოვიპოვე ინფორმაცია, რამაც ძალიან ბევრი კითხვა გააჩინა, რომლებსაც აუცილებლად უნდა გაეცეს პასუხი.

**— რა ინფორმაცია მოიპოვეთ და რამ გამოიწვია კითხვები?**

– დავინტერესდი, არის თუ არა ონკოჰემატოლოგიური დაავადებების გამომწვევ მიზეზთა შორის ერთ-ერთი წამყვანი მიზეზი გაზრდილი რადიაციული ფონი ქალაქში და თუ ეს არის, მაშინ რა უნდა იწვევდეს ამ ფონს? არ მინდა ხალხი პანიკაში ჩავაგდო, მაგრამ მომატებული საფრთხეებიდან გამომდინარე, შინაგანი ეჭვი გამიჩნდა, ხომ არ იყო რაიმე კავშირში არსებული მდგომარეობა იაპონიიდან ექსპორტირებულ ავტომობილებთან. წერილი გავაგზავნეთ საბაჟო დეპარტამენტში შეკითხვით – რამდენი ავტომანქანა შემოდის იაპონიიდან და როგორია მათი რადიაციული უსაფრთხოების კონტროლის ზედამხედველობის შედეგები. ორი დღის წინ მივიღეთ პასუხი და თავისი შინაარსით არის საგანგაშო. პირველ რიგში იყო ის, რომ 2011 წელს, როცა იაპონიაში მოხდა ბუნებრივი კატასტროფა, რამაც გამოიწვია ატომური ელექტროსადგურების მწყობრიდან გამოყვანა და ქვეყანაში რადიაციული ფონი გაიზარდა, იაპონიიდან იმპორტირებული მანქანები თავისთავად შეიცავენ რადიაციული დაბინძურების შესაძლებლობას. თითოეული მათგანი უნდა განვიხილოთ რადიაციული დაბინძურების წყაროდ. როცა სტატისტიკას თვალი გადავავლე, ვნახე, რომ 2011-2012 და 2013 წლებში, იაპონიიდან შემოყვანილი ავტომობილების რიცხვი, საერთო ჯამში, ნაკლებია 2014 წლის, მხოლოდ 10 თვეში შემოყვანილ მანქანების რაოდენობაზე (2011 წელს შემოვიდა – 7 972 ავტომანქანა, 2012 წელს – 8 194, 2013 წელს – 15 244, ხოლო 2014 წელს (10 თვის მონაცემებით) 32 535 – ჯამში, 73 856. – დ.ლ.)

ყველაზე საგანგაშო არის ის, რომ 2011 წლიდან დღემდე საქართველოში შემოყვანილ ავტომობილებში, რომლებსაც მოჰყვებათ სპეციალური „სტიკერი“ სახელწოდებით უსაფრთხოა, აღმოჩნდა 45 რადიაციულად დაბინძურებული, რომელთაგანაც 44 გაათავისუფლეს, ხოლო 1 ავტომობილს ვერაფერი მოუხერხეს და ბათუმის პორტშია იზოლირებული. ეს აღმოაჩინეს მაშინ, როცა ეს ავტომობილები შემოდიოდა ჩვენს პორტებში. პირველი კითხვა, რაც მე დამებადა, რატომ არ ჩააყენა შემოსავლების სამსახურმა და ზოგადად საბაჟო დეპარტამენტმა ამ საკითხთან მიმართებაში საქმის კურსში გარემოს დაცვის სამინისტრო და თუ ჩააყენა, მაშინ ასეთ საკითხებზე პოლიტიკურად და სამართლებრივად პასუხისმგებელი გახლავთ მინისტრი და ბუნებრივია, რომ ის ვალდებული გახლდათ საფრთხეებთან მიმართებაში გარკვეული მინიშნებები გაეკეთებინა.

მეტიც, ეს ის თემაა, როცა საქმეში საგარეო უწყებაც უნდა ჩაერთოს, ვინაიდან, იაპონიის მაღალტექნოლოგიურ განვითარებაში ჩვენ ეჭვი არ გვეპარება და თუ შეიძლება, რომ იაპონიას „გაეპაროს“ ავტომანქანა, ბუნებრივია, ჩვენს პორტებს, ჩვენს საბაჟო დეპარტამენტს და ზოგადად ბირთვული უსაფრთხოების სამსახურს, რომელიც გარემოს დაცვის დაქვემდებარებაშია, მეტი შესაძლებლობაა, რომ „გამოეპაროს“. თბილისში ერთი დაბინძურებული მანქანაც რომ გამოჩნდეს, ნებისმიერ უბანში არის საფრთხე, რომ მან დაავადოს ბავშვები, არსებითად იქონიოს ამ რადიაციულმა ველმა გავლენა იმ ტერიტორიაზე.

ამიტომ მოვუწოდებ საზოგადოების იმ ნაწილს, ვინც იაპონურ მანქანებს ფლობენ, დაიზღვიეთ თავი და მიაკითხეთ ბირთვული უსაფრთხოების სამსახურს. კიდევ ერთხელ შეამოწმეთ თვენი ავტომანქანები რადიაციული დაბინძურებისგან, ხოლო, მეორე მხრივ, ჩვენმა მთავრობამ უნდა გაამკაცროს და დააწესოს ყოველდღიური მონიტორინგი იაპონიიდან იმპორტირებულ და არამხოლოდ იაპონიიდან იმპორტირებულ ავტომობილებზე. გაგვცენ პასუხი, რამდენად დიდია საფრთხე, თუნდაც იმ იმპორტირებულ ავტომანქანებისგან.

**შემოსავლების სამსახურის პრესსამსახურის ხელმძღვანელს, ხატია მოისწრაფიშვილს სმს-შეტყობინება გავუგზავნეთ: „გადის თუ არა კონტროლს რადიაციულ უსაფრთხოებაზე იაპონიიდან იმპორტირებული ყველა ავტომობილი და რამდენად საიმედოა ეს კონტროლი?“ დარეკვაც ვცადეთ, მაგრამ ტელეფონი გამორთული ჰქონდა, შეტყობინებაზე კი პასუხი არ მიგვიღია.**

დიანა ლიპარტელიანი
571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## სამხედრო ნაწილში ჯარისკაცი უგულავა გარდაცვლილი იპოვეს



სამხედრო ნაწილში 20 წლის ნიკოლოზ უგულავა გარდაცვლილი იპოვეს.

რიგითი უგულავა სამხედრო ნაწილში ათმეთაურმა საგუშაგოზე გარდაცვლილი იპოვა. მას ჭრილობა თავის არეში ჰქონდა მიყენებული.

გამოძიება დაწყებულია. საქმე აღძრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით – თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო სამმართველო, მთავარი პროკურატურის ზედამხედველობით, აწარმოებს.

1994 წელს დაბადებული ნიკოლოზ უგულავა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 2014 წლის 4 ოქტომბრიდან ირიცხებოდა. ის საქართველოს შეიარაღებული ძალების სპეციალური ოპერაციების ძალების მხარდამჭერი ბატალიონის დაცვის ასეულში სავალდებულო სამხედრო სამსახურს იხდიდა.

„საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს წვევამდელი ნიკოლოზ ჟორესის ძე უგულავას დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს. თავდაცვის სამინისტრო სრულად დაფარავს წვევამდელის დაკრძალვასთან დაკავშირებულ ხარჯებს“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებისთვის სტატუსის შეცვლის პროცესი კიდევ შეიზღუდება



სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებისთვის სტატუსის შეცვლის პროცესი კიდევ ექვსი თვით იქნება შეზღუდული. ვადა, რომელიც ამ მიმართულებით კანონში 2014 წლის 31 დეკემბრამდე ჩაიდო და, შესაბამისად, აღნიშნული მორატორიუმი ახალი წლისთვის სრულდებოდა, 2015 წლის 1-ელ ივლისამდე გრძელდება. პარლამენტის ბიუროს დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის ზურაბ ტყემალაძის პროექტი წარედგინა, რომლის მიხედვით, 2015 წლის 1-ელ ივლისამდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებისათვის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლა დასაშვებია, თუ ეს განპირობებულია აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებით, რაზეც გადაწყვეტილებას მთავრობა იღებს.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებისთვის სტატუსის შეცვლის უფლება მიწების უცხოელებისთვის გასხვისებასთან დაკავშირებით გამოცხადებული მორატორუმის ფარგლებში შეიზღუდა, რადგან, როგორც ინიციატივის ავტორმა განმარტა, დაფიქსირდა სასოფლო-სამეურნეო მიწების არასასოფლო-სამეურნეო მიწებად გაყიდვის არაერთი ფაქტი.

როგორც პროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, საქართველოს მთავრობაში დასასრულს უახლოვდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ამსახველ საკანონმდებლო პაკეტზე მუშაობა, რომელიც პარლამენტს უახლოეს მომავალში წარედგინება. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## 42 სოფელი პრემიერის სახელზე პეტიციას მოამზადებს




„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ახვლედიანი, გორის რაიონში, სტიქიით ყველაზე მეტად დაზარალებულ სოფელ რეხაში ჩავიდა და ადგილობრივების პრობლემებს გაეცნო.

„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ინფორმაციით, გორის რაიონის 42 სოფელი ხელისუფლების კომპენსაციის მოლოდინშია. 2014 წლის 1-ელ ივნისს, სტიქიამ ათასობით გლეხს ხილის მოსავლის თითქმის 80% გაუნადგურა. „ხელისუფლების წარმომადგენლებმა მეორე დღესვე ჩაატარეს აღწერა, ზარალი დაითვალეს და მოსახლეობას მის ანაზღაურებას დაჰპირდნენ. თუმცა, მეშვიდე თვეა, არც ხელისუფლების წარმომადგენლები და არც დაპირებული თანხა გორის რაიონის მოსახლეობას თვალით არ უნახავს. სოფელში 300 კომლი ცხოვრობს, რომელიც უკიდურეს გაჭირვებაშია და ხელისუფლების მხრიდან ზარალის ანაზღაურებას ელოდება“, – აცხადებენ პარტიაში.

„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ დახმარებით, 42 სოფელი პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის სახელზე პეტიციას მოამზადებს. „ხელისუფლებას კი მოუწევს პასუხი გასცეს კითხვებს, რატომ მოატყუა ათასობით გლეხი და სად არის დაპირებული ანაზღაურება“, – ნათქვამია პარტიის ინფორმაციაში. (ინტერპრესნიუსი)

## პარლამენტში საყდრისთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვენ

საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოზე სამუშაოების განახლებასთან დაკავშირებით პარლამენტის ბიუროს ორი საპარლამენტო პოლიტიკური ძალა ინიციატივით მიმართავს. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ბიუროს წარუდგენს მათ ინიციატივას, საყდრისის თემაზე პარლამენტის დადგენილების მიღების და სპეციალური საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ.

საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვს ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატები“, რომელთაც შესაბამისი ინიციატივა პარლამენტში გასულ კვირას დაარეგისტრირეს. (ინტერპრესნიუსი)

## სერგეენკო დარწმუნებულია, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა მომავალშიც წარმატებული იქნება



ჯანდაცვის მინისტრის, დავით სერგეენკოს განცხადებით, არ მოხდა იმ რისკებისა და საფრთხეების რეალიზება, რაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შესახებ იყო გამოთქმული.

„ჩვენ განვიხილეთ მისი განვითარების ძირითადი ეტაპები და გავაცანით მომავალი სიახლეების შესახებ. საკმაოდ საინტერესო შეხვედრა იყო. მასში მონაწილეობა მიიღეს ექიმებმა, კლინიკის ხელმძღვანელებმა და პაციენტებმა. ვფიქრობ, რომ ის რისკები და საფრთხეები, რაც თავიდან იყო გაჟღერებული, საბედნიეროდ, არ რეალიზდა. პროექტი წარმატებულია და მჯერა, რომ მომავალშიც ასე გაგრძელდება“, – განაცხადა სერგეენკომ. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, 2014 წლის 20 ნოემბრის მდგომარეობით, პირველადი ჯანდაცვის ცენტრებში 2 882 238 მოქალაქეა დარეგისტრირებული. სულ დაფიქსირებულია 822 413 მიმართვის შემთხვევა. აქედან, 493 145 პირს გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება გაეწია; 162 016 – სტაციონარული მომსახურება; 31 598 – ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია; 71 172 გეგმიური ქირურგიული ჩარევა (გარდა კარდიოქირურგიისა); 2 448 კარდიოქირურგია; 60 970 – მშობიარობა და საკეისრო კვეთის ჩათვლით. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# რა ხდება „მაესტროს“ კულუარებში და რა ცვლილებები მზადდება „რუსთავი 2“-ზე

კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, ახალი წლიდან „რუსთავი 2“-ზე, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება. წყაროს თქმით, არხის ერთ-ერთი უმსხვილესი დამფინანსებელი ამ ეტაპზე საფრანგეთში მყოფი ინტერპოლით ძებნილი დავით კეზერაშვილია. სწორედ დავით კეზერაშვილი დაკავშირებია „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორს, ნიკა გვარამიას და მისთვის უთქვამს, რომ ახალი წლიდან შტატებიც შეამცირე და ხალხს ხელფასებიც შეუმცირეო. კეზერაშვილს კატეგორიულად უთქვამს, რომ ძველებურად არხს აღარ დააფინანსებს. კეზერაშვილს ეს გადაწყვეტილება მიხეილ სააკაშვილთან და ზურაბ ადეიშვილთან ერთობლივი შეთანხმების შემდეგ მიუღია. სააკაშვილი უკმაყოფილო ყოფილა იმ გასართობი შოუების სიმრავლით, რომლებიც არხზე გადის. „ნაცმოძრაობის“ ლიდერთათვის „რუსთავი 2“ მათი და მათი პარტიის პიარსაშუალებაა, მის მიმართ სხვა მოთხოვნები არც აქვთ და სწორედ ამიტომ აფინანსებენ გულუხვად ტელევიზიას. იმ გასართობ ტოქშოუებსაც, რომელთა ნაკლებობასაც „რუსთავი 2“ ნამდვილად არ განიცდის, „ნაცმოძრაობის“ ფორსირებული პიარი უნდა განეხორციელებინა, თუმცა, ეტყობა, ამას ეფექტურად ვერ ახერხებდნენ. კეზერაშვილს უთქვამს, რომ მობეზრდა სხვადასხვა შოუების ჟიურის წევრებისა და წამყვანებისთვის სოლიდური ხელფასების გადახდა, წავიდნენ და ფული სხვაგან იშოვონ, გვეყოფა, რაც მაგათ დავახარჯეთ, ეგენი მანდ ფულის გამო სხედან და სხვა არაფერი აინტერესებთ, ჩვენზე მეტი სხვამ რომ გადაიხადოს, მეორე დღესვე იქ გაიქცევიან და ამიტომ მოაცილე დროზე ეგ „ვარსკვლავები“ ტელევიზიას, ისედაც უზარმაზარი თანხები დავახარჯეთო. ჯერჯერობით არ კონკრეტდება, რომელ შოუებსა და რომელ წამყვანებს გულისხმობს კეზერაშვილი. ამას, ალბათ, ახალი წლის შემდეგ შევიტყობთ, როცა კონკრეტული შოუები ეთერში აღარ გავა. კეზერაშვილის მოთხოვნით, მცირე ცვლილებები შესაძლოა, საინფორმაციო სამსახურსაც შეეხოს. რამდენიმე ჟურნალისტს, ალბათ, გაუშვებენ არხიდან, თუმცა „კურიერის“ ძირითად ბირთვს ეს არ შეეხება.

კეზერაშვილის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ის ყოფილა, რომ „რუსთავი 2“-ზე უნდა გაკეთდეს ახალი პოლიტიკური ტოქშოუ, რომელიც კვირაში ერთხელ ან ორჯერ გავა ეთერში. ჯერ უცნობია, რამდენ ხანში გაკეთდება ეს პოლიტიკური გადაცემა და ვინ იქნება მისი წამყვანი. ლაპარაკია იმ ტიპის გადაცემაზე, როგორიც „პოზიცია“ იყო და ნინო შუბლაძეს მიჰყავდა. კეზერაშვილი უკმაყოფილო ყოფილა იმით, რომ გიორგი გაბუნიას „არჩევანმა“, რომელიც, მართალია, მთლიანად „ნაციონალებისა“ და მიხეილ სააკაშვილის პიარზეა გადართული, მაგრამ ვერც პარტიისა და ვერც სააკაშვილის რეიტინგს ვერაფერი უშველა. ამიტომაც დამდგარა დღის წესრიგში ახალი გადაცემის გაკეთების საკითხი. „არჩევანი“, თავის გიორგი გაბუნიასთან ერთად, რჩება და გააგრძელებს მუშაობას.



კეზერაშვილს უთქვამს, რომ მობეზრდა სხვადასხვა შოუების ჟიურის წევრებისა და წამყვანებისთვის სოლიდური ხელფასების გადახდა, წავიდნენ და ფული სხვაგან იშოვონ, გვეყოფა, რაც მაგათ დავახარჯეთ, ეგენი მანდ ფულის გამო სხედან და სხვა არაფერი აინტერესებთ, ჩვენზე მეტი სხვამ რომ გადაიხადოს, მეორე დღესვე იქ გაიქცევიან და ამიტომ მოაცილე დროზე ეგ „ვარსკვლავები“ ტელევიზიას, ისედაც უზარმაზარი თანხები დავახარჯეთო

ზოგადად, მიხეილ სააკაშვილი უკმაყოფილო ყოფილა „რუსთავი 2“-ის მუშაობით სწორედ იმ კუთხით, რომ მას და „ნაცმოძრაობას“, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ტელეკომპანია წელშია გამწყდარი მათი პიარისა და ხელისუფლების „შავი პიარის“ კეთებით, რეალური შედეგები არ მოაქვს, მისი და პარტიის რეიტინგებზე ეს არ აისახება. მოკლედ, დავით კეზერაშვილის მთავარი მესიჯი ნიკა გვარამიას მისამართით ის ყოფილა, რომ უსაქმურები მოაცილოს არხს და ნაკლები ბიუჯეტით უფრო ეფექტური ტელევიზია გააკეთოს, რომელიც სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ რეიტინგის გაზრდას უზრუნველყოფს.



მიხეილ სააკაშვილი უკმაყოფილო ყოფილა „რუსთავი 2“-ის მუშაობით სწორედ იმ კუთხით, რომ მას და „ნაცმოძრაობას“, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ტელეკომპანია წელშია გამწყდარი მათი პიარისა და ხელისუფლების „შავი პიარის“ კეთებით, რეალური შედეგები არ მოაქვს, მისი და პარტიის რეიტინგებზე ეს არ აისახება

შეგვიძლია ის მიზეზებიც გავიხსენოთ, რამ უბიძგა „ნაცმოძრაობას“ „რუსთავი 2“-ის ბიუჯეტის შემცირებისკენ. „ნაციონალებს“ ფული შემოაკლდათ. რამდენიმე თვის წინ გაზეთი „კვირის ქრონიკა“ წერდა, რომ „ნაციონალთა“ დამფინანსებელი ბიზნესმენების ნაწილმა უარი უთხრა სააკაშვილს, პარტიულ „ობშიაკში“ კვლავაც გაეგრძელებინათ ფულის შეტანა. არაერთი მსხვილი ბიზნესმენი გაერიდა სააკაშვილს. მართალია, ბიზნესმენთა ნაწილი კვლავ აფინანსებს „ნაცმოძრაობას“, მაგრამ ძველებური გულუხვობით ვეღარ, რადგან მათი დიდი ნაწილი ვეღარც სახელმწიფო ტენდერებს იგებს ხელისუფლების ხელშეწყობით, ვეღარც აუქციონებით იგდებენ ხელში კაპიკებად მილიონებად შეფასებულ სახელმწიფო ქონებას და სხვა სახელისუფლებო მხარდაჭერაც შემოაკლდათ. შესაბამისად, მათმა შემოსავლებმაც იკლო. ადრე ეს ბიზნესმენები, ტენდერებს თუ მოიგებდნენ, „ატკატის“ სახით, „ნაცმოძრაობის“ ლიდერებს წინასწარ აძლევდნენ სატენდერო თანხის სოლიდურ პროცენტს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთად ხვეტდნენ ფულს და ამას დღეს ვეღარ აკეთებენ. ამხელა შემოსავალს რომ დაკარგავ, ცხადია, მერე „ქამრების შემოჭერაზეც“ უნდა იფიქრო.

ხარჯი კი უზარმაზარი აქვთ „ნაციონალებს“, ინახავენ ყველა რეგიონულ და რაიონულ პარტიულ ოფისს, აფინანსებენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს, ხელფასს უხდიან ცალკეულ აქტივისტებს და საქართველოს მასშტაბით, მათი რაოდენობა, 3 ათას კაცზე მეტია. „ნაცმოძრაობა“ იძულებულია, ყოველთვიურად ფული უხადოს შინაგან საქმეთა, თავდაცვის, სასჯელაღსრულების სამინისტროებიდან და თბილისის მერიიდან გამოყრილ იმ „ზონდერებს“, რომელთაც მათი ბევრი ბინძური საიდუმლო იციან და თუ ამ ფულს მოაკლებენ, ამ საიდუმლოს, მათი დანაშაულებრივი საქმიანობის უტყუარ მტკიცებულებებს, გაყიდიან და ცხადია, „ნაცმოძრაობის“ ოპონენტებს, მის მტრებს მიჰყიდიან. აქვე გავიხსენოთ „ნაცმოძრაობის“ მიერ დაქირავებული ლობისტები, რომელთა მომსახურებაც მილიონები უჯდება და რაც ხელისუფლებიდან წავიდნენ, მათი რაოდენობა არ შემცირებულა. მიხეილ სააკაშვილის მოგზაურობებიც ამ „ობშიაკიდან“ ფინანსდება და ცოტას რომ არ დადის, ეს ყველამ კარგად ვიცით. გარდა ამისა, სავარაუდოდ, კეზერაშვილი აფინანსებს „ნაციონალთა“ ლიდერების არაოფიციალურ ვიზიტებს უცხოეთში. კიდევ არის სხვა ხარჯები, რომლებიც დავით კეზერაშვილს დააწვა კისერზე და ეტყობა, ხარჯების შემცირება გადაწყვიტა სააკაშვილთან და ადეიშვილთან ერთად და „რუსთავი 2“-სთვის დაფინანსების შემცირებაც ამ გადაწყვეტილების შედეგია.

„ალია“ „რუსთავი 2“-ში მოსალოდნელი ფინანსური და შესაბამისად, საკადრო ცვლილებების შესახებ, კომენტარისთვის არხის საინფორმაციო სამსახურის მთავარ პროდიუსერს, გიორგი ლაფერაშვილს დაუკავშირდა: „მე მსგავსი არაფერი გამიგია, არანაირი ლაპარაკი არ ყოფილა არხის ხელმძღვანელობის მხრიდან რაიმე ფინანსურ ცვლილებებსა და ბიუჯეტის შემცირებაზე. ახალი წლიდან გავაგრძელებთ მუშაობას ჩვეულებრივ რეჟიმში. არც ჩემი კოლეგებისა და არც ტელეკომპანიის ბიუჯეტს შემცირებისა არაფერი ეტყობა. აშკარად არაადეკვატურია თქვენი წყარო“. – გვითხრა ლაფერაშვილმა. ეს მალე გამოჩნდება, „ალიას“ წყაროა არაადეკვატური თუ ლაფერაშვილისთვის ჯერ არ უთქვამს ნიკა გვარამიას მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ.

შემიძლია, ათობით ფაქტის გახსენება, როცა „ალიას“ მიერ ექსკლუზიურად მოპოვებული ინფორმაცია არ დაუდასტურებიათ „რუსთავი 2“-ის მესვეურთ და მერე, ჩვენი ნათქვამი ასრულებულა. ყველაფერს თავი დავანებოთ, „რუსთავი 2“-მა დამფუძნებლები რომ გამოიცვალეს და ამ ტელეკომპანიის საკონტროლო პაკეტს ძმები ყარამანაშვილები დაეუფლნენ, ამის შესახებ არხის არც ერთმა თანამშრომელმა არ იცოდა და ეს ფაქტი სწორედ „ალიასგან“ შეიტყვეს. „ალია“ ნიკა გვარამიასთანაც ცდილობდა დაკავშირებას, მაგრამ მან ჩვენს ზარებს არ უპასუხა.

მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილება, რომ „რუსთავი 2“-მა უფრო ეფექტური პიარი გასწიოს მისი და „ნაცმოძრაობისა“,

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „არ ვართ ვალდებულნი, ვინმეს კრიტიკა მივიღოთ“



საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი მაია ფანჯიკიძე ბიძინა ივანიშვილის განცხადებას პასუხობს:

„არანაირ კრიტიკას არავისგან არ ვიღებ. მიმაჩნია, რომ „თავისუფალ დემოკრატებს“ გვაქვს ჩამოყალიბებული და მკაფიო პოზიცია ყველა საკითხთან დაკავშირებით. გადახედეთ მედიას, ვერასდროს ნახავთ ჩვენს ბუნდოვან და გაურკვეველ პასუხებს ამა თუ იმ თემასთან მიმართებაში. ვფიქრობ, ჩვენ ძალიან კარგად ვარქმევთ სახელს ყველაფერს. ასე რომ, მე არ ვარ ვალდებული, არავის კრიტიკის მიღების, მით უმეტეს, რომ არ ვიცი, ყოფილი პრემიერის რა ციტატაზეა საუბარი“, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

შეგახსენებთ, რომ ბიძინა ივანიშვილმა ოპოზიციასთან დაკავშირებით ისაუბრა და განაცხადა, რომ ვისაც ოპონირების ფუნქცია აქვს ის ამას ვერ ასრულებს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## უკრაინა „გაის“ რეფორმირებას ქართული სცენარით იწყებს



უკრაინელი დეპუტატის, ანტონ გერაშენკოს განცხადებით, 2015 წელს უკრაინაში „გაის“ რეფორმირება ქართული სცენარით დაიწყება.

„მომავალ წელს იგეგმება ელექტრონული სისტემების დანერგვა, რომლებმაც ინსპექტორი და მისი ჯოხი უნდა ჩაანაცვლონ და იქნება მსგავსი იმისა, რაც საქართველოში და ევროპის ცივილიზებულ ქვეყნებშია. ვამზადებ კანონპროექტებს, რომელიც საშუალებას მოგვცემს, დაჯარიმება ვიდეოჩანაწერის საფუძველზე მოხდეს“. – განაცხადა გერაშენკომ (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

გარკვეულწილად შესაძლოა, იმითაც არის ნაკარნახევი, რაც ტელეკომპანია „მაესტროზე“ მოხდა. „მაესტრო“ დატოვეს გენერალური დირექტორის მოადგილემ და საინფორმაციო გადაცემის, „მაესტროს ცხრიანის“ წამყვანმა ნინო ჟიჟილაშვილმა, საინფორმაციოს მთავარმა პროდიუსერმა სოფო ზურაბიანმა, ვასიკო ოდიშვილმა თავისი „აბებით“ (ვასიკო ოდიშვილი იუმორისტული ტელევიზიის შექმნას აპირებს, დანარჩენთა ბედი კი გაურკვეველია), სხვა ჟურნალისტებმა, პროდიუსერებმა და ოპერატორებმა. სულ 27 კაცი წამოვიდა. არხიდან მათი წასვლის მიზეზი, „მაესტროს“ დამფუძნებლის, კოტე გოგელიას გადაწყვეტილებაა, რომ არხზე მიიყვანოს სახელმწიფო კანცელარიის კონსულტანტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში, კოკა ყანდიაშვილი. როგორც ამბობენ, მისი მისვლით ტელევიზია დამოუკიდებლობას დაკარგავს, სახელისუფლებო რუპორად იქცევა და არ გვინდა, სახელისუფლებო ნავში ჯდომაო. არხიდან წამოსულები ამბობენ, რომ ყანდიაშვილი „მაესტროზე“ 2-საათიან ტოქშოუს გააკეთებს, თავად წაიყვანს გადაცემას და „მაესტროს „ცხრიანის“ დროს, პრაიმ-ტაიმში გავა ეთერში, საინფორმაციო კი ერთი საათით ადრე 8 საათზე დაიწყება. გარდა ამისა, „მაესტროდან“ წამოსულები ღიად საუბრობენ, რომ ყანდიაშვილის არხზე მისვლა, პარტია „ქართული ოცნების“ იდეოლოგიის გატარების უტყუარი ნიშანია. ყანდიაშვილი თითქმის 2 წელი იყო ამ ხელისუფლების მთავარი „პიარშჩიკი“ და ყველა სახელისუფლებო პიარსამსახური მის კონტროლქვეშ მუშაობდა. დღეს ძველი თანამდებობა აღარ აქვს, მაგრამ გავლენა შერჩა. მართალია, კოკა ყანდიაშვილი აცხადებს, რომ „მაესტროზე“ არც გადაცემას წაიყვანს და იქ სამუშაოდ მისვლას საერთოდ არ აპირებს, მაგრამ ამ შემთხვევაში, ყანდიაშვილის გულწრფელობაში ეჭვი უნდა შევიტანო. ჯერ ერთი, „მაესტროს“ გენერალურმა დირექტორმა, ბაია გაბადაძემ ცოტა ხნის წინ დაადასტურა, რომ ყანდიაშვილთან მოლაპარაკება მიმდინარეობდა „მაესტროზე“ მისი მისვლის, გადაცემის გაკეთების თაობაზე და ამდენი ხნის მანძილზე გაბადაძის ეს განცხადება ყანდიაშვილს არ უარყვია. მეორეც, „მაესტროს“ ჟურნალისტებმა ყანდიაშვილის არხზე მისვლის გადაწყვეტილების, მისი და კოტე გოგელიას შეხვედრებისა და ფარული შეთანხმებების შესახებ, „მაესტროს“ დამფუძნებლებისგან და მენეჯმენტის წევრებისგან შეიტყვეს. გაზეთი „კვირის ქრონიკა“ წერდა, რომ, სავარაუდოდ, კოტე გოგელიასა და კოტე ყუბანეიშვილს შორის შემდეგი გარიგება შედგა: ყუბანეიშვილი გააკონტროლებს არხის საინფორმაციო პოლიტიკასაც, რომელიც, ცხადია, პროსახელისუფლებო იქნება, სანაცვლოდ კი, „მაესტროს“ არ მოაკლდება „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ბიზნესჯგუფებისა და თავად ამ პარტიის რეკლამა. თუ ეს გარიგება მართლა მოხდა, მაშინ ცხადია, რომ „მაესტრო“ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერ ტელევიზიად გადაიქცევა. შესაბამისად, გარკვეულ კონკურენციას გაუწევს „რუსთავი 2“-ს. ცხადია, ეს ორი ტელეკომპანია ისედაც იყვნენ კონკურენტები, მაგრამ ამჟერად, სავარაუდოდ, ერთმანეთის დამკვეთთა წარმატებულ პიარში შეეჯიბრებიან, „რუსთავი 2“ – „ნაცმოძრაობისას“, „მაესტრო“ კი – „ქართული ოცნებისას“. „ალიამ“ ექსკლუზიურად შეიტყო, რომ კოკა ყანდიაშვილი თავის გადაცემას „თბილისი გისმენთ“ და საინფორმაციო სამსახურსაც ორი ჯგუფისგან დააკომპლექტებს. სახელისუფლებო პიარში დასაქმებული ჟურნალისტებისა და „მე-9 არხის“ ყოფილი თანამშრომლებისგან. მოკლედ, მალე, შესაძლოა, „მაესტრო“ სახელისუფლებო არხად იქცეს. ცხადია, რაც „მაესტროზე“ მოხდა, ამ პროცესების შესახებ, გაცილებით ადრე ეცოდინებოდა სააკაშვილსა და მის გუნდს და „რუსთავი 2“-ის გაძლიერება, „ნაცმოძრაობის“ პიარის მიმართულებით, დიდწილად ამითაც უნდა იყოს განპირობებული.



„კურიერმა“ მოიპოვა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ კოკა ყანდიაშვილი „მაესტროზე“ იწყებს მუშაობას. წერილი, რომელიც მიმდინარე წლის 11 დეკემბრით თარიღდება, ერთ-ერთი უნივერსიტეტისთვისაა განკუთვნილი. „მაესტროს“ გენერალური დირექტორი ბაია გადაბაძე მოუწოდებს უნივერსიტეტს კოკა ყანდიაშვილის გადაცემაში მონაწილე სტუდენტების სია დროულად იქნას მიწოდებული ტელეკომპანიისათვის

„მაესტრო“ რომ პროსახელისუფლებო პოლიტიკის გატარებს აპირებდა და მისი ხელმძღვანელები ხელისუფლებასთან დაპირისპირებას ერიდებოდნენ, ამის შესახებ ვახო სანაიამაც განაცხადა. ის სექტემბერში წავიდა „მაესტროდან“, მაგრამ განცხადება მისი დატოვების რეალური მიზეზების შესახებ, მხოლოდ გუშინ გააკეთა. გთავაზობთ ამონარიდს ვახო სანაიას განცხადებიდან, რომელიც ძალიან ბევრ რამეს ნათელს ჰფენს: „როგორც იცით, ვიყავი „ცხრიანის“ წამყვანი, ნინო ჟიჟილაშვილთან ერთად, ასევე კვირაობით მიმყავდა ჩემი საავტორო გადაცემა „ვახო სანაიას რეპორტაჟი“. თავდაპირველად არ მქონია არანაირი ხელშეშლა თავისუფლების თვალსაზრისით. პირველი გადაცემა გაკეთდა სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობაზე. ივანიშვილის დამოკიდებულებაზე საპატრიარქოსთან. ამას მოჰყვა ჩემი გადაცემები ნეპოტიზმზე – ახლანდელი და წინა ხელისუფლების პირობებში. ასევე, „ქართული ოცნების“ დაპირებებზე. გავიდა გადაცემა შიდა სახელისუფლებო დაპირისპირებაზე, პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის კონფლიქტზე, თავდაცვის მაშინდელი მინისტრისა და პრემიერ-მინისტრის ურთიერთობებზე და სხვა. ყველა გადაცემას ჰქონდა დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი. ამ შემთხვევაში ყურადღებას გავამახვილებ გადაცემაზე, რომელიც ახლანდელი და წინა ხელისუფლების პირობებში ნეპოტიზმის ფაქტებს ეძღვებოდა, იმავე გადაცემაში შევეხეთ „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებებსაც. გახსოვთ, ალბათ, ივანიშვილის ორგანიზაცია „მოქალაქე“, მთავრობა, პარტია „ქართული ოცნება“ ერთმანეთის მიყოლებით ავრცელებდნენ განცხადებებს და მართავდნენ ბრიფინგებსა და გადაცემის შინაარსს აპროტესტებდნენ.



„გარედან მომდინარე სრულიად უსაფუძვლო და არაარგუმენტირებულ შეტევას დაემატა ერთი მოულოდნელი ამბავი შიგნიდან. ტელევიზიის დირექტორმა შეხვედრა მთხოვა. იმ შეხვედრას რამდენიმე ადამიანი ესწრებოდა. დირექტორმა თქვა, რომ მე ჩემი გადაცემებით „მაესტრო“ შესაძლოა, სერიოზულ დაპირისპირებაში შევიყვანო ხელისუფლებასთან და პრობლემები შევქმნა. დირექტორი ძალიან ღელავდა ამის გამო. ეს ჩემთვის სრულიად გაუგებარი პოზიცია იყო“

გარედან მომდინარე სრულიად უსაფუძვლო და არაარგუმენტირებულ შეტევას დაემატა ერთი მოულოდნელი ამბავი შიგნიდან. ტელევიზიის დირექტორმა შეხვედრა მთხოვა. იმ შეხვედრას რამდენიმე ადამიანი ესწრებოდა (ისინი, რომლებიც უკვე დღეიდან უკვე აღარ მუშაობენ „მაესტროში“). დირექტორმა თქვა, რომ მე ჩემი გადაცემებით „მაესტრო“ შესაძლოა, სერიოზულ დაპირისპირებაში შევიყვანო ხელისუფლებასთან და პრობლემები შევქმნა. დირექტორი ძალიან ღელავდა ამის გამო. ეს ჩემთვის სრულიად გაუგებარი პოზიცია იყო“.

ვახო სანაიას ეს განცხადება ადასტურებს, რომ, სავარაუდოდ, ჯერ კიდევ სექტემბერში მოხდა გარიგება „ქართული ოცნებისა“ და „მაესტროს“ დამფუძნებლების ერთ ჯგუფს შორის, რომ ტელეკომპანია ხელისუფლების სამსახურში ჩადგებოდა. ვახო სანაია სხვას არაფერს ამბობს, სწორედ სექტემბერში დაწყებულა „მაესტროს“ საინფორმაციო პოლიტიკაში ჩარევა ხელისუფლების სასარგებლოდ.

მოკლედ, სატელევიზიო სივრცეში სერიოზული ცვლილებები დაიწყო. იმ ინფორმაციის მიხედვით, რაც ხელთ გვაქვს, მალე „რუსთავი 2“-ის დაბალანსებას „მაესტრო“ შეეცდება. ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან.

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37


# შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ მიმართულებებზე:

**ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით**

პროფესორი ფილოლოგიის სპეციალობით (ინგლისური ენა და ლიტერატურის სპეციალიზაციით) – 1 ვაკანსია

ასოცირებული პროფესორი ფილოლოგიის სპეციალობით (ინგლისური ენა და ლიტერატურის სპეციალიზაციით) – 4 ვაკანსია

ასოცირებული პროფესორი ფილოლოგიის სპეციალობით (გერმანული ენა და ლიტერატურის სპეციალიზაციით) – 1 ვაკანსია

ასოცირებული პროფესორი ფილოლოგიის სპეციალობით (ქართული ენა და ლიტერატურის სპეციალიზაციით) – 2 ვაკანსია

ასოცირებული პროფესორი ისტორიის სპეციალობით – 1 ვაკანსია

ასისტენტ-პროფესორი ფილოლოგიის სპეციალობით (ინგლისური ენა და ლიტერატურის სპეციალიზაციით) – 2 ვაკანსია

**სოციალური მეცნიერებების მიმართულებით**

პროფესორი ეკონომიკის სპეციალობით – 2 ვაკანსია

ასოცირებული პროფესორი ეკონომიკის სპეციალობით – 4 ვაკანსია

ასისტენტ-პროფესორი ეკონომიკის სპეციალობით – 4 ვაკანსია

**ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით**

პროფესორი – 1 ვაკანსია

ასოცირებული პროფესორი – 4 ვაკანსია

ასისტენტ-პროფესორი – 1 ვაკანსია

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები მიმართულებით**

ასოცირებული პროფესორი მათემატიკის სპეციალობით – 2 ვაკანსია

**ინჟინერიის მიმართულებით**

ასოცირებული პროფესორი კომპიუტინგი/ ინფორმატიკის სპეციალობით – 2 ვაკანსია

**სამართლის მიმართულებით**

ასოცირებული პროფესორი – 1 ვაკანსია

**აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები:**

პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

პროფესორი, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორი აირჩევა 4 წლის ვადით.

**აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:**

- განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
- ავტობიოგრაფია (CV);
- პირადობის მოწმობის ასლი;
- 1 ფოტოსურათი ზომით (3X4);
- უმაღლესი განათლების, აკადემიური ხარისხის ან სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;
- ინფორმაცია ბოლო 10 წელიწადში საკონკურსო მიმართულების/დარგის შესაბამისად შესრულებული სამეცნიერო ნაშრომის შესახებ, მისი გამომცემი ორგანოს (სამეცნიერო ჟურნალის) რეკვიზიტების მითითებით;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის (შრომის წიგნაკის) ასლი ან ცნობა; ასევე, დამსაქმებლის ან საარქივო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა, რომელიც ადასტურებს შესაბამის გამოცდილებას.

**კონკურსი გამოცხადდეს 2014 წლის 23 დეკემბრიდან. საბუთების მიღება იწარმოებს ყოველდღე (შაბათ-კვირის ჩათვლით), 2015 წლის 24 იანვრიდან 26 იანვრის ჩათვლით 10.00-18.00 სთ. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №18/22.**

**ტელ: 599 41 34 98**

**საკონკურსო კომისიის სხდომა ჩატარდება 2015 წლის 27 იანვარს, შედეგები გამოქვეყნდება 28 იანვარს.**

# რატომ დაუპირისპირდა თავდაცვის მინისტრს საპარლამენტო უმრავლესობაც?

ყველაფერს აქვს საზღვარი, უსაზღვროა მხოლოდ ქართველი პოლიტიკოსების პოლიტიკური პროსტიტუცია, მხოლოდ ამ პოლიტიკურ ცხოველებს შეუძლიათ აფთრის ინსტინქტით შეაჯდნენ მსხვერპლს და გაუთავებლად ჯიჯგნონ. გეყოთ, ბატონებო, გეყოთ! აი, უკვე მერამდენე დღეა ყველა ერთად შეაჯექით თავდაცვის მინისტრს და უფლება რომ გქონდეთ, ენას ამოგლეჯთ. ჩაიხედეთ სარკეში, რას ჰგავხართ – ენით ჯალათებს. ჰოდა, რა განსხვავებაა ციხის ჯალათსა და თქვენს შორის? მინდა გითხრათ, რომ განსხვავებებს შორის დიდი დიაპაზონი არ არსებობს, თქვენ მაგ ენით დღეში ადამიანს ასჯერ კლავთ, ჯალათი კი ერთხელ, უბრალოდ პარლამენტში პორტირებული ჯალათები ხართ!

რატომ არის დაუსრულებელი შტურმი თავდაცვის მინისტრზე? იმიტომ რომ თვალში გეპატარავებათ, პროვინციელებო, ფულზე გაყიდულო „ენჯეოშნიკებო“, ვიდრე თვალებს დაქაჩავთ, ხელებს გაპარჭყავთ და ერთ ხმაში აყვირდებით, მანამდე თქვენი ჩასვრილის გაწმენდა რომ დაიწყოთ, არ გაწყენდათ. აბა, მიპასუხეთ, როდის ხართ გულწრფელები, მაშინ როცა თავდაცვის მინისტრის განცხადებას ისტერიულად გმობთ, სადაც წერია, რომ ალექსანდრე გრიგოლაშვილის დაღუპვის გამო, სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებს მოუწოდებენ, მონაწილეობა მიიღონ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში... თუ მაშინ, როცა კანონმდებლებს მხოლოდ ახლა გაგახსენდათ, რომ უკრაინის თავისუფლებისთვის მებრძოლები გაუთანაბრდნენ საქართველოს ტერიტორიული უცხადებს გვერდით დგომას, თქვენ კი მხოლოდ ადგილიდან ყვირილი და წიოკი შეგიძლიათ, ისიც ჯანელიძეზე. აქაც სააკაშვილისა და მისი გუნდის საქმეს აკეთებთ.

მაია ფანჯიკიძე, საგარეო საქმეთა ყოფილო მინისტრო, აი, თქვენ მაინც მოკეტეთ, რა! ვისი განცხადება არ მოგწონთ? ჯანელიძის, რომელმაც თქვენი დის ქმარი შეცვალა? უკაცრავად და ერთი თქვენც გვითხარით, მინისტრმა რატომ ვერ მოახერხეთ უკრაინაში ვიზიტი? რა გააკეთეთ იმისთვის, რომ მიხეილ სააკაშვილი და მისი ძებნილი მთავრობა, უკრაინაში რეფორმატორებად არ მიეღოთ და სახელმწიფოს მართვა მათთვის არ ჩაებარებინათ? და კიდევ, როცა თავდაცვის სამინისტროს ამ განცხადებამ შოკში ჩაგაგდოთ, გაგახსენებთ ირაკლი ალასანიას განცხადებებს, რომელიც ხშირად მთავრობასთან არ იყო შეთ-



ანხმებული, თუნდაც ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების მოთხოვნა ნატოსთვის. ერთია, რომ ტექნიკურად ეს იყო უადგილო, რადგან ნატო, როგორც ორგანიზაცია ამ თხოვნას ვერ დააკმაყოფილებს და ეს მოთხოვნა ნატოს წევრი ქვეყნებისადმი უნდა ყოფილიყო, თუმცა მთავარი არის ის, რომ ამ განცხადებით საქართველომ დანის პირზე გაიარა. ასეთ მოთხოვნებს თავდაცვის მინისტრები ხმამაღლა არ უნდა აცხადებდნენ. უამრავი წინდაუხედავი განცხადებების გახსენება შეიძლება „ოცნების“ ხელისუფლების თუ ნახელისუფლარების, მაგრამ მე ის უფრო მეტად მაკვირვებს, რატომ გავიწყდებათ, რომ ქვეყანას ჰყავდა თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც 2004 წელს ცხინვალში შევარდა და მერე სოფელ ვანათში ოსებმა ქართველი ჯარისკაცები დააჩოქეს. ოქრუაშვილი შევარდა კოდორში და „მონადირე“ განაიარაღა, რის შემდეგაც დაიკარგა ხეობა. აღშფოთებულ ფანჯიკიძეს კი შევახსენებ, რომ ამ სპეცოპერაციაში ირაკლი ალასანიაც მონაწილეობდა და კვიციანი მასაც ბრალს სდებს კოდორის ხეობის რუსეთისთვის ჩაბარებაში.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით თევზაძე კი ალასანიას ადანაშაულებს სამხედროების გამოყრაში, წაუსუსტებს, თუ იმიტომ რომ ირაკლი ღარიბაშვილის კადრია? უმრავლესობავ, თქვენმა მუხრუჭებმა გაასხა, „დაასტოპეთ“! დავით თევზაძის სიტყვებით რომ ვთქვა, „ბატონებო, დაიცავით სიჩუმე, თქვენ ჯარისკაცის კუბოსთან დგახართ! ჯარისკაცის კუბოსთან დგომას კი სიჩუმე უხდება!!!“

პარლამენტში პორტირებულო ჯალათებო, აი, რის თქმა მინდა: გავიგეთ, რომ თავდაცვის სამინისტრომ დაუშვა შეცდომა და არ იყო სახელმწიფოებრივად სწორი, გასაგებია, რომ თავისუფლებისთვის მებრძოლი ჯარისკაცის დაკნინება დასაგმობია, გვესმის, რომ ქართველი მებრძოლი უკრაინაში ტერიტორიული მთლიანობისთვის იბრძოდა, რაც ავტომატურად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაცაა, იმ საერთო მტრის წინააღმდეგ, რასაც რუსეთი ჰქვია. პრემიერ-მინისტრმა თავდაცვის სამინისტროს განცხადება დაგმო, სამინისტრომ უკან დაიხია და ვებგვერდიდან განცხადება აიღო, ახლა კი რას ვხედავთ, ბოლომდე აწვებით, „ქოციც“ და „ნაციც“ დუეტში, რომ მინისტრი გადადგეს, თქვენ ყველას ერთად ამნეზია ხომ არ გაქვთ?

„რესპუბლიკელებო“, „ფორუმელებო“ ბიძინას რჩეულო საზოგადოებავ, „ოცნებაში“ ჩარჩენილო მთლიანობისთვის მებრძოლ ვეტერანებს?!

რომელ თქვენგანს გაგახსენდათ აქამდე უკრაინის ტკივილი? რომელმა განახორციელა ვიზიტი უკრაინაში? თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ირაკლი სესიაშვილის ერთი ინიციატივა სად არის, რომლიც მხარს დაუჭერდა უკრაინის თავისუფლებისთვის მებრძოლებს? თქვენ წააგეთ და ხელისუფლებასაც წააგებთ, სწორედ გაუტანლობითა და უსამართლობით, ისევ სააკაშვილმა მოგიგოთ ეს რაუნდი, ის მიწაზე მფორთხავი მთავარსარდალი გამოდგა მართალი, რომელმაც რამდენიმე კვირის წინ მოუწოდა ქართველ ოფიცრებს, უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისთვის ვინც იბრძოლებდა, მას უკრაინის მოქალაქეობას მიანიჭებდნენ. რატომ უნდა თქვას ქართველმა მებრძოლმა საქართველოს მოქალაქეობაზე უარი? ამ კითხვაზე პასუხს რატომ არ იძლევით? საქართველო-უკრაინის მეგობრობამ საუკუნეებს გაუძლო, უკრაინელები ჩვენი ტერიტორიული მთლიანობისთვის იბრძოდნენ, მაგრამ თქვენ, ხელისუფლებამ, რა გააკეთეთ უკრაინისთვის? არაფერი! ბელორუსის ლიდერი, ევროპისთვის პერსონა „ნონ გრატა“ უცხადებს პოროშენკოს თანადგომას, ჩადის და საჯაროდ მებრძოლი ვეტერანების იგნორში და პირობის გატეხაში! ჩვენ გვახსოვს ნარკომოხმარებაში ექვმიტანილი, იარაღის უკანონოდ გაყიდვაში ექვმიტანილი თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი, გვახსოვს 2008 წლის აგვისტოს ომი, დაკარგული იარაღი, დიდი დანაკარგი. გვახსოვს თავდაცვის მინისტრი ბაჩანა ახალაია, ვერაგი მეგის ქარდავა, რომლებიც ჯარს შეურაცხყოფას აყენებდნენ და გაჩენის დღეს აწყევლინებდნენ, გვახსოვს ჯარიკაცების ნაამბობი, ავტომატის კაკაფონიის ქვეშ, ახალაიას „საქმენი საგმირონი“, გვახსოვს, როგორ ჰქონდა ამოქოქილი ტანკები და როგორ ემზადებოდა სამოქალაქო ომისთვის, იმიტომ რომ 2012 წელს ბიძინა ივანიშვილს არ გაემარჯვა, მაგრამ მე არ მახსოვს ასეთი ისტერიული გამოხტომები, ტანზე შემოხევა და მიწაზე გაწოლა შეძახილით – გადადექი! თქვენმა ჯალათობამ ჩემში პროტესტი წარმოშვა და ერთადერთი ადამიანი აღმოჩნდა ხელისუფლებაში, რომელმაც აბსოლუტურად სწორი განცხადება გააკეთა და ეს ადამიანი არის საქართველოს პრეზიდენტი! „ძალიან უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს, როდესაც მთელი პოლიტიკური სპექტრი და ქვეყანა ერთიანდება ერთი ადამიანის წინააღმდეგ. მე ვფიქრობ, უნდა მივცეთ შესაძლებლობა ადამიანებს, თავიანთი პოზიცია გამოხატონ, ცოტა უფრო მშვიდი რეაგირება უნდა გვქონდეს ასეთ თემებზე“!!! გიორგი მარგველაშვილის ამ გაწონასწორებული და ადამიანური განცხადების ფონზე, შეიძლება ითქვას, რომ ყველა თქვენგანი სპეკულანტობს იმ ახალგაზრდა, 32 წლის ქართველი მებრძოლის გარდაცვალებით, თქვენ ვერ შეძელით გარდაცვლილის ოჯახის წევრების გვერდით დგომა და ალექსანდრეს მამისთვის ანგარიშის გაწევა. ასე რომ, სჯობს, დადუმდეთ და არ ისპეკულანტოთ ამ თემით!

თუკი საპარლამენტო უმრავლესობა ეთანხმება გიგა ბოკერიას განცხადებას, ქართველი ჯარისკაცის დაღუპვასთან დაკავშირებით, თავდაცვის სამინისტროს განცხადება კრემლის დავალებით მომზადდაო, მაშინ გამოდით და ყველაფერს თავისი სახელი დაარქვით, რა ხდება, რასთან გვაქვს საქმე და სად მიგვათრევთ?! პასუხისმგებლობისგან გაქცევა ფრონტის წინა ხაზიდან გაქცევაა და რაშიც არ უნდა იყოს საქმე, თქვენც ხართ იმ უპასუხისმგებლობის თანაზიარი, რაც თავდაცვის სამინისტრომ ჩაიდინა...

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## აფხაზეთის ე.წ პარლამენტმა რუსეთთან გაფორმებული ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა



ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ პარლამენტმა რუსეთთან გაფორმებული მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა.

დოკუმენტის რატიფიცირებას მხარი 23 დეპუტატმა დაუჭირა, წინააღმდეგ ხმა 5-მა მისცა.

ხელშეკრულებას მარიონეტული რეჟიმს ლიდერმა რაულ ხაჯიმბამ და რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ხელი 24 ნოემბერს მოაწერეს.

ოკუპირებულ რეგიონსა და რუსეთის ფედერაციას შორის გაფორმებული დოკუმენტი საერთო სამხედრო დაჯგუფების შექმნას, ფსოუზე საზღვრის გაუქმებას და ენგურზე ადმინისტრაციული საზღვრის გაძლიერებას, ასევე რუსეთის მიერ აფხაზეთში სხვადასხვა სფეროების დაფინანსებას ითვალისწინებს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ომისა და სამხედრო ვეტერანების შესახებ“ კანონში ცვლილებები უნდა მოხდეს“



„ნაციონალური მოძრაობა“ საკანონმდებლო ინიციატივით გამოდის, რომლის მიხედვითაც უკრაინაში მებრძოლი ქართველების სტატუსი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა სტატუსთან უნდა გაერთიანდეს.

საპარლამენტო უმცირესობის წევრმა ლევან ბეჟაშვილმა განაცხადა, რომ საკანონმდებლო ინიციატივა დასარეგისტრირებლად პარლამენტის ბიუროს სხდომაზე გავა.

„ნაციონალური მოძრაობა“ გამოდის საკანონმდებლო ინიციატივით, პარლამენტის ბიუროს წარუდგინოს კანონპროექტი „ომისა და სამხედრო ვეტერანების შესახებ“ კანონში ცვლილებების თაობაზე, ასევე, კანონპროექტი, რომელიც ეხება და გაუთანაბრებს უკრაინაში მებრძოლი მეომრების სტატუსს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა სტატუსს“, – განაცხადა ბეჟაშვილმა. მისი თქმით, კანონპროექტის განხილვა დაჩქარებული წესით უნდა მოხდეს, რადგან უკრაინაში მებრძოლი ადამიანებისთვის დროულად მოხდეს შესაბამისი გარანტიებით უზრუნველყოფა. (ნიუპოსტი)

## სოფელ ახალდაბაში სასწრაფოს ექიმი სცემეს

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალდაბაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმი, ეკა გოგიჩაიშვილი ადგილობრივმა სცემა. გორის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მთავარი ექიმის, თემო თანიაშვილის განცხადებით, ექიმი, სოფელ ახალდაბაში, გამოძახებაზე იმყოფებოდა რა დროსაც პაციენტის ოჯახის წევრმა, მამაკაცმა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

„ნასვამი ყოფილა ეს კაცი და სცემა ქალს. შეშუპებული აქვს სახე და ტვინის შერყევის ნიშნები აქვს“. – ამბობს თანიაშვილი. (ნიუპოსტი)



# მიზეზი, რის გამოც კოტე კუბლაშვილის იმპიჩმენტი შესაძლებელია

რამდენიმე დღის წინ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ მთავარ პროკურატურაში რეფორმებს იწყებს და იუსტიციის მინისტრს უწყების სამუშაო ჯგუფის შექმნის დავალება მისცა.

ყოფილი მთავარი პროკურორი, არჩილ კბილაშვილი აცხადებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მან ჩამოაყალიბა, 5 თვეა პროკურატურის რეფორმის კონცეფციაზე მუშაობს და პრეზენტაცია 23 დეკემბერს გაიმართება. რაც შეეხება თეა წულუკიანს, ის სისხლის სამართლის უწყებათაშორისი საბჭოს თავმჯდომარეა და სხდომას 26 დეკემბერს მოიწვევს, სადაც იქნება მსჯელობა პროკურატურის რეფორმის საკითხებზე.

რა არის აუცილებლად შესაცვლელი სისტემაში? რა პოზიცია აქვს პროკურატურის რეფორმირებაზე მთავარ პროკურორს? რა დააჩქარებს სასამართლოებში საქმეების გამოძიებას?

**„ალიას“ ყოფილი მოსამართლე და ადვოკატი, შალვა ხაჭაპურიძე ესაუბრება:**

– ალბათ, გახსოვს, რამდენიმე თვის წინ უცხოეთიდან ჩამოიყვანეს სამი ცნობილი პროკურორი. მაშინ ატყდა ერთი ამბავი და მეც გამოვთქვი ვარაუდი, ისინი არ ჩამოვიდნენ მხოლოდ იმისთვის, რომ მერაბიშვილისა და ახალაიას საქმეებისთვის გადაეხედათ. მე ვფიქრობდი, ეს სამი ადამიანი იმიტომ მოიწვიეს, რომ პროკურატურაში ჩატარებულიყო სერიოზული რეფორმა. შემდგომში არჩილ კბილაშვილმა როგორ გამოიჩინა თავი, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ჩემი ინფორმაციით, მას დაწყებული ჰქონდა რეფორმა, მან დაიწყო ზურაბ ადეიშვილის მიერ შექმნილი მოდელის დაშლა, ერთი პროცენტი გააკეთა და უცებ გადადგა.

**— ანუ კბილაშვილი გააჩერეს?**

– რეფორმების ჩასატარებლად ცოტა სხვანაირი პიროვნებაა საჭირო, აქ უნდა იყო ცოტა უშიშარი, იდეალისტი და ასე შემდეგ. ჩვენ ექსპერიმენტების დრო აღარ გვაქვს, პროკურატურა ჯერ იყო იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში, მერე გამოყვეს და რა მივიღეთ, რამე გამოსწორდა? დღეს თითქმის ყველა ლაპარაკობს საკადრო პოლიტიკაზე, სანამ სისტემა არ შეიცვლება, ეს იწევს მეორე პლანზე.

**— შალვა, კონკრეტულად ვილაპარაკოთ, რა ხდება სისტემაში და რა არის შესაცვლელი?**

– მაგალითად, წალენჯიხის პროკურორსა და გამომძიებელს ზედამხედველობს სამეგრელოს რეგიონის საოლქო პროკურორი. ამ საოლქოში ზის კიდევ პროკურორი, რომელიც მას ზედამხედველობს. მთავარ პროკურატურაში ზის განყოფილების „გამგე“, რომელიც ზედამხედველობს მთლიანად სამეგრელოს პროკურატურას. ამას ჰყავს კიდევ ერთი განყოფილების უფროსი, არსებობს სამმართველოს უფროსი, შემდეგ დეპარტამენტის უფროსი, მთავარი პროკურორის ერთ-ერთი მოადგილე და მერე მოდის მთავარი პროკურორი. ესე იგი, წალენჯიხის რომელიმე სოფელში ქათამი რომ მოიპარა კაცმა, სანამ პირველი პირი არ იტყვის, ან 2 წელი მიეცით, ან სახლში გაუშვით, რაიონის პროკურორი ვერ იღებს გადაწყვეტილებას. აი, ეს არის სისტემა, რომელიც შექმნა ადეიშვილმა. მე ძალიან მარტივად ავხსენი და, ალბათ, მკითხველი მიხვდება, რა მახინჯ სისტემასთან გვაქვს საქმე. ახლა ავიღოთ მეორე მხარე: სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს 55-ე მუხლი, საიდანაც ადეიშვილის დროს ამოიღეს ყველაფერი, რაც კი მოსამართლის დამოუკიდებლობას ეხებოდა. მაგალითად, მანამდე მოსამართლეს შეეძლო ეთქვა: კი, ბატონო, მავანმა ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, წარსულში არ არის ნასამართლევი, ოჯახის მარჩენალია, არ არის აუცილებელი, პატიმრობა შევუფარდო, პირობითს მივუსჯიო. სააკაშვილის პრინციპი ნულოვანი ტოლერანტობის შესახებ – ყველანი ციხეში, კანონმდებლობით დღესაც მოქმედებს. 55-ე მუხლის მიხედვით, თუ პროკურორმა არ მოითხოვა, მოსამართლეს არ აქვს უფლება, პირობითი სასჯელი გამოიტანოს. მე მითხრეს და მერე საგანგებოდ დავინტერესდი, შენ იცი, რომ ჩვენს პარლამენტში 100 იურისტი დეპუტატი ზის? ზოგს რა აქვს დამთავრებული, ზოგს რა, მაგრამ როცა ყველა ორღობეში ინსტიტუტი იყო გახსნილი, იურისტის დიპლომებიც აიღეს. მათ არც ერთს არ მოსდის აზრად, რომ მიშას მიერ მიღებული კანონი გაასწოროს? დღეს ისევ პროკურორია მოსამართლე? ლადო ჭანტურიას დროს მეც ვიყავი რეფორმატორთა ჯგუფში, იქ იყვნენ გია მეფარიშვილი, ნინო გვენეტაძე, მერაბ ტურავა და რაც მთავარია, იყვნენ გერმანელი სპეციალისტები, მაშინ პროკურატურა უნდა დაქვემდებარებოდა სასამართლო კონტროლს, სისხლის სამართლის აღძვრა, შეწყვეტა, დაზარალებულად ცნობა, ყველაფერზე იყო დაწესებული მოსამართლის კონტროლი. ავიღოთ ერთი მაგალითი: სასჯელაღსრულების სამინისტრო პატიმარს ახასიათებს დადებითად, აღარ არის საჭირო მისი ყოფნა ციხეში. ახალი ხელისუფლების პირობებში გაჩნდა ფანჯარა, ადვოკატებს უფლება მოგვეცა, ამა თუ იმ პატიმრის საქმე გაგვესაჩივრებინა სასამართლოში. კი, ბატონო, გავასაჩივრეთ და არ გაინტერესებს, მოსამართლეს მხოლოდ რის უფლება აღმოაჩნდა? მას აქვს უფლება, სასჯელაღსრულებას საქმე უკან დაუბრუნოს განსახილველად, რათა გადაწყვიტოს კომისიამ. ბიჭო, სახელმწიფოს ხერხემალი უნდა იყოს მოსამართლე და არა პროკურორი, ან რომელიმე კომისიის წევრი. მოსამართლე დგას პრეზიდენტზე მაღლა, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერზე ლაპარაკი აფერისტობაა. მე ნასაუბრები ვარ მთავარ პროკურორთან, გიორგი ბადაშვილთან, ზუსტად იგივეს ფიქრობს ეს ადამიანი. როგორც ჩანს, აქაც საჭიროა პოლიტიკური ნება და ეს ვიგრძენი მაშინ, როცა სამი პროკურორი მოიწვიეს, მაგრამ შემდეგ რა მოხდა, არ ვიცი.

ამას დავანებოთ თავი, რაში გვჭირდება ამდენი სამხარეო პროკურორი და საპროკურორო აპარატები, რა იყო, კომუნისტების დროს რომ ყველა რაიონს თავისი პროკურორი ჰყავდა და საოლქო მონსტრი არ არსებობდა, ვერ მუშაობდნენ? რეფორმა არ არის იოლი ჩასატარებელი, 2000 წელს გია მეფარიშვილმა რა სისხლის სამართლის კოდექსიც დაწერა, რომელმაც 2004 წლამდე იმუშავა, მარტო იმ მდგომარეობას რომ დავუბრუნდეთ, 2 წელიწადი მაინც გვჭირდება.

და კიდევ ერთი მთავარი პრობლემა: დღეს პროკურატურაში დევს ათასობით საქმე, რომელიც არ მიდის ძიებაში. საქმე არ აღიძრა? მე უნდა მქონდეს საშუალება, გავასაჩივრო, მიმატანინე მოსამართლემდე.

**— ესე იგი, როცა პროკურატურა არ იწყებს ძიებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება, გაასაჩივროს, ხომ?**

– რა თქმა უნდა... მაშინ პროცესი დაიწყება, პროკურატურაში ამდენი საქმეები აღარ იქნება შემოდებული თაროზე. აქ არის მეორე მხარეც, მაგალითად, სანამ ბიზნესმენთან შეხვალ შესამოწმებლად, უნდა მოიტანო სასამართლოდან შუამდგომლობა. სასამართლო დაუძახებს ამა თუ იმ კომპანიის წარმომადგენელს და ეტყვის: პროკურატურა აპირებს თქვენი კომპანიის შემოწმებას, თქვენ რა პოზიცია გაქვთ? ეს ეუბნება, გუშინწინ იყვნენ შემოსულები და ახლა რაღაზე მოდიან? მოსამართლე შეისწავლის მდგომარეობას და გამოიტანს გადაწყვეტილებას. სააკაშვილმა ეს ყველაფერი მოშალა, კომპანიებში შედიოდნენ, როცა უნდოდათ, რათა ფული წაერთმიათ. ეს კანონი არ გავასწოროთ? ისევ ადეიშვილის სქემით ვიმუშაოთ? აბა, ერთი გერმანიაში გაბედე და სასამართლოს გარეშე რომელიმე ბიზნესმენი შეამოწმე. საერთოდ, დასავლური მართლმსაჯულება ეყრდნობა „სამწვეროვან“ მეთოდს: ადვოკატი-პროკურორი-მოსამართლე. ჩვენი სისტემის დანგრევას მოახერხებენ მხოლოდ გამოცდილი იურისტები. ეს არის ძალიან სწრაფად გასაკეთებელი, აგრესია მოდის სწორედ იქიდან, რომ ქვეყანაში არის უსამართლობა და განუკითხაობა. რა სამართლიანობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა გირგვლიანის საქმეზე სტრასბურგმა მიიღო გადაწყვეტილება, ასევე მიიღო სულხან მოლაშვილის საქმეზე და აქ ვერაფერს აკეთებენ? ორი დღის წინ მოლაშვილი ჩამოვიდა თბილისში და ამ დღეებში არა მხოლოდ ბრიფინგს ჩავატარებთ, არამედ სარჩელსაც შევიტანთ სასამართლოში. სტრასბურგის სასამართლომ თქვა, კოტე კუბლაშვილი დამნაშავეაო და ესენი ელოდებიან, როდის დაუმთავრდება ვადა. ასევე მივმართავთ პარლამენტს, რას ჰქვია, ელოდებიან? მერე რა, რომ თვე-ნახევარში უმთავრდება ვადა? უნდა მოუწყო იმპიჩმენტი, პასუხი მოსთხოვო და სხვა რომ მოვა, ჭკუით იქნება. დღეს რომ მოლაშვილის საქმეში მთავარი დამნაშავე, მურუსიძე იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ზის და მოსამართლეებს ნიშნავს, ეს ნორმალურად მიგაჩნია? ხალხი სამართალს ვერ პოულობს და ამ ხელისუფლებისთვის ეს იქცევა მთავარ პრობლემად 2016 წლის არჩევნებში.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „მაესტროს“ ერთგული მაყურებელი სიმართლეს იმსახურებს“



ტელეკომპანია „მაესტროში“ მიმდინარე პროცესებს დეპუტატი თინა ხიდაშელი სოციალურ ქსელში ეხმაურება:

„და ვფიქრობ „მაესტროზე“. იცით თავის დროზე ასე დავთმეთ „რუსთავი 2“. მაყურებელმა, გულშემატკივარმა, მისთვის მებრძოლებმა. მერე „იმედი“. ახლა, როგორც ჩანს, „მაესტრო“ წაიღეს და რამე არ შეგვიძლია გავაკეთოთ? მერე რა, რომ კერძოა. ტელევიზიაა, კონსერვებს კი არ უშვებს. საჯარო სივრცეა, ჩვენი, ყველასია, მე ადრე დავწერე, „მაესტრო“ ჩეკი ტელევიზაა-თქო და ეხლაც ასე მგონია და მისი გადარჩენისთვის ბრძოლა მინდა. ოღონდ სიმართლე უნდა ვიცოდეთ და „მაესტროს“ ერთგული მაყურებელი ამ სიმართლეს იმსახურებს. ამიტომ ისე ნუ გაატარებთ, განცხადება დავწერე და წავედიო, მოგვიყევით სიმართლე“. – წერს ხიდაშელი (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## საყდრისის შემდეგ კიდევ ერთი არქეოლოგიური ტერიტორია განადგურდა




უძველესი ტერიტორიის განადგურების შესახებ განგაში არქეოლოგმა იულონ გაგოშიძემ ატეხა, ძეგლთა დაცვის სააგენტოს მიმართა, სადაც დაამშვიდეს და უთხრეს, რომ სამუშაოები შეჩერდებოდა, მაგრამ ახლა აღმოჩნდა, რომ სააგენტოც და გაგოშიძეც მშენებლებმა მოატყუეს.

პოსტსკრიპტუმის მიერ გადაღების დროს შემთხვევით აღმოჩენილი ნივთები, სპეციალისტების თქმით, შუა ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება და დაახლოებით 6 ათასი წლის წინანდელი ჭურჭელია.

„ამას ჰქვია ბარბაროსობა“, აცხადებს იულონ გაგოშიძე და აღნიშნავს, რომ ბერი კლდეების დანგრევა საყდრისის დანგრევის ტოლფასია.

ბულდოზერები ბერი კლდეების ნამოსახლარზე ანადგურებენ ისტორიას, რომელიც თითქმის 6 ათას წელს ითვლის. იქ, სადაც ახლა სამშენებლო ტექნიკა მიწას თხრის, რამდენიმე თვის წინ ყორღანები იყო. ახლა ყველაფერი განადგურებულია, ისტორია წაშლილია, ძველი დიდების გადმონაშთიდან კი მხოლოდ კვალი დარჩა. არქეოლოგები იმასაც ამბობენ, რომ არტეფაქტები ბერი კლდეების ტერიტორიაზე მესოპოტამიური ფესვების მქონე ადამიანების ცხოვრებაზე მიუთითებს.

განგაში კულტურის სამინისტროშიც და ძელგთა დაცვის სააგენტოშიც გამოცხადდა, შემთხვევის ადგილზე სააგენტოს არქეოლოგები ჩავიდნენ და დაასკვნეს, რომ მდგომარეობა ნამდვილად კატასტროფულია.

ამ ფაქტს ცოტნე გამსახურდია „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე შემდეგი სტატუსით გამოეხმაურა:

„უვიცობა + უპასუხისმგებლობა + სიხარბე = ქართველობას. ნერვიულობის ნერვიც აღარ არის... მავანი კიდევ გამოდის და მშიერ ხალხზე ზრუნვით ამართლებს ამ ყველაფერს!

ხალხი ჯოგური პრინციპებით ცხოვრობს, ხოლო ხელისუფლება, ნაცვლად ნორმალიზაციისა, ნებსით და უნებლიედ ხელს უწყობს ამ ყველაფერს! კულტურის სამინისტრო ყველაფერს იცავს, გარდა კულტურისა... კიდევ და კიდევ ვრწმუნდები, რომ ჯოჯოხეთში დავიბადე და სწორედ ისე ვართ, როგორც უნდა ვიყოთ!“ (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# რა კორუფციულ გარიგებაში ადანაშაულებენ მინისტრ სანიკიძეს?




ორგანიზაცია „ადამიანი, კანონი, თავისუფლება“ აუდიტის სამსახურს განათლების სამინისტროში მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის ხარჯვითი ნაწილის შესწავლას სთხოვს. ორგანიზაციამ ჩაატარა კვლევა, რომელიც ცხადყოფს, რომ 2014-15 სასწავლო წლისთვის გაწეული ხარჯი არის გაუმართლებელი და დაუსაბუთებელი. კვლევის მიხედვით, მინისტრის ბრძანება თეორიულ დონეზე უშვებს იმ გარემოებას, რომ სახელმძღვანელოების 70% ექსპლუატაციიდან გამოვიდა და მისი ხელახალი გამოცემა გახდა საჭირო. ამ დროს წიგნების დაზიანების გამო წარმოშობილ პრობლემებზე არავინ საუბრობს, რაც იმის დამადასტურებელია, რომ არ დამდგარა სახელმძღვანელოების ახლით ჩანაცვლების საჭიროება, მაშინ, როცა განათლების სამინისტრომ 3 989 510 ერთეულ წიგნი გამოსცა ხელახლა.

**რატომ დახარჯა სამინისტრომ წიგნების ბეჭდვაზე იმაზე მეტი, რაც გეგმით იყო გათვალისწინებული? ჩატარდა თუ არა ტენდერი? ვინ დგას წიგნების დამბეჭდავი ორი სტამბის უკან?**

**„ალიას“ „ადამიანი, კანონი, თავისუფლების“ იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი ბექა გამდლიშვილი ესაუბრა:**

– საზოგადოების მაღალი ინტერესის გათვალისწინებით, დავიწყეთ ამ პროექტის ხარჯვითი ნაწილის გაანალიზება, თუ რაში იხარჯებოდა ის თანხები, რაც ბიუჯეტიდან გამოიყო. მარგველაშვილის განათლების მინისტრობის დროს დაიწყო ეს პროექტი, ბავშვებისთვის სახელმძღვანელოების უფასოდ გადაცემა და პირველ ეტაპზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 11 323 630 ლარი, რომელიც დაიხარჯა სახელმძღვანელოების სრულად დასაბეჭდად. გამოვითხოვეთ ქალბატონ თამარ სანიკიძის გამინისტრების შემდეგ 2014-2015 სასწავლო წლების სახელმძღვანელოების უზრუნველყოფისთვის პროგრამის ინფორმაცია. მეორე ეტაპისთვის სამინისტროს ბიუჯეტიდან აღებული აქვს 9 მილიონი ლარი. სწორედ ამ თანხის ხარჯვის მიზნობრიობასთან დაკავშირებით გაგვიჩნდა ეჭვები და არაერთი განცხადებით მივმართეთ სამინისტროს, ეთქვა, რაში დახარჯა გამოყოფილი თანხა. ჩვენი გათვლებით ამდენი თანხა არანაირად არ უნდა დახარჯულიყო პროექტის მეორე ეტაპისთვის, თუმცა პასუხი არ მიგვიღია. ამის შემდეგ ირკვევა, რომ ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე 2014-15 სასწავლო წლისთვის მოსწავლეების სახელმძღვანელოს უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში ბიუჯეტით გათვალისწინებული 9 მილიონი ლარის ნაცვლად დახარჯულია 12 მილიონ 831 ათასი ლარი, ანუ ბიუჯეტში გათვალისწინებულ თანხაზე გაცილებით მეტი და აქედან გამომდინარე უკვე დეტალური ანგარიში გამოვითხოვეთ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან“, საიდანაც ოფიციალური ინფორმაციის სახით მოგვივიდა შეტყობინება, რომელ კომპანიებზე იქნა დარიცხული თანხები სახელმძღვანელოების ბეჭდვასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, ჩვენ ლოგიკურად გაგვიჩნდა კითხვები, რადგანაც ამ თანხებიდან მხოლოდ ორი იურიდიული პირისთვის, „გაერთიანებული ქართული სტამბა ფავორიტი პრინტი & მვპ“-სთვის სამინისტროს გადარიცხული აქვს 10,4 მლნ ლარი, ხოლო შპს „ინგლისური სახლი საქართველო“-სთვის – 3 359 369 ლარი და ეს საკითხიც ძალიან საეჭვოა. შეგახსენებთ, რომ ეს ის „ფავორიტია“, სადაც „24 საათი“ იბეჭდებოდა.

**— კი მაგრამ, საამისოდ ტენდერი თუ ჩატარდა?**

– სწორედ მაგის თქმა მინდა, სახელმძღვანელოების ბეჭდვასთან დაკავშირებით ტენდერი ერთმნიშვნელოვნად არ ჩატარებულა და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა სტამბები უჩიოდნენ განათლების სამინისტროს, რადგანაც ისინი დადგნენ დიდი საფრთხის წინაშე, ლამის გაკოტრდა რამდენიმე სტამბა, მათ შორის იყო ერთ-ერთი „დიოგენე“, რომელსაც უკვე დაბეჭდილი ჰქონდა სახელმძღვანელოები და ვერ მოახერხა მისი რეალიზაცია. ასევე შპს „ინტელექტი“, რომელსაც ასევ დაბეჭდილი ჰქონდა სახელმძღვანელოები და 2014-15 წლის ბიუჯეტში ეს არ იყო გათვალისწინებული. თუმცა შემდეგ მათ გარკვეული თანხა გადაუხადეს. მაგალითად, შპს „დიოგენეს“ 3450 სახელმძღვანელო აქვს დაბეჭდილი და გადარიცხულია 62 884 ლარი, ხოლო შპს „ინტელექტს“ დაბეჭდილ 28 066 ცალში გადაერიცხა 432 247 ლარი. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ განათლების სამინისტრომ ხურდები გადაუყარა ამ კომპანიებს, რომ გაჩერებულიყვნენ.

**— მაინც რისთვის სცეს ასეთი პატივი იმ ორ სტამბას, „ფავორიტსა“ და „ინგლისურ სახლს“?**

– ეგ არ ვიცი, მაგრამ სხვა სტამბების წარმომადგენლები გვეუბნებოდნენ, იქნება რაიმე სახის თანამშრომლობა მოხდეს, რომ ეს წიგნები, რომლებიც გაჩერებული გვაქვს, მაკულატურაში არ ჩავაბაროთო. თუმცა გამოხმაურება ამასთან დაკავშირებით განათლების სამინისტროდან არ მიგვიღია. ასევე, არ მიგვიღია პასუხი, რატომ გახდა საჭირო პროექტის განხორციელების მეორე ეტაპზე 12 831 000 ლარის ბიუჯეტიდან გამოყოფა.

**— კი, მაგრამ თავიდან ხომ ნათქვამი იყო, რომ მოსწავლეები უნდა გაფრთხილებოდნენ სახელმძღვანელოებს და კარგ მდგომარეობაში ჩაებარებინათ, სხვებსაც რომ გამოსდგომოდათ წიგნები. ანუ ეს გულისხმობდა, რომ ბიუჯეტი უნდა შემცირებულიყო.**

– მართალია, 2013 წლის 5 აგვისტოს მინისტრის ბრძანებით გამოიცა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სახელმძღვანელოების მოვლა-პატრონობის შეფასების 15-ქულიანი შკალის არსებობას, ხოლო სახელმძღვანელოს დაზიანების შემთხვევაში წარმოიშვებოდა ვალდებულება მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიმართ ახალი სახელმძღვანელოთი ჩაენაცვლებინათ დაზიანებული სახელმძღვანელო. სამწუხაროდ, ეს ბრძანება არ ამოქმედებულა, როგორც ჩვენ გვაქვს ინფორმაცია.

**— თუ სამინისტროში წინასწარ არ იცოდნენ, რამდენი სახელმძღვანელო იქნებოდა დაზიანებული და რამდენი დაბრუნდებოდა უკან, მაშინ რა მოხდა?**

– ჩვენს ორგანიზაციას გაუჩნდა კითხვა, ამხელა თანხა რატომ გამოიყო ბიუჯეტიდან? შესაძლებელია, სამინისტროში იცოდნენ სხვა რამ, რომ წინა ეტაპზე გაცემული სახელმძღვანელოები იყო დაბალი ხარისხის ქაღალდზე დაბეჭდილი და აქედან გამომდინარე, იცოდნენ, რა ხარისხით იყო შესაძლებელი ამ წიგნების ცვეთა, სხვა არანაირი ვარიანტი არ არსებობს, საიდან შეიძლებოდა ამ ადამიანებს ევარაუდათ ბიუჯეტში ამხელა თანხის გათვალისწინება.

**— ეს წიგნები, რაც განათლების სამინისტრომ მეორე ეტაპზე დაბეჭდა, რა ფასად გაიყიდა?**

– დასაბეჭდი წიგნის ფასი 2013-14 სასწავლო წლისთვის თითო სახელმძღვანელოზე მოდიოდა, საშუალოდ, 2 ლარი და 80 თეთრი, ხოლო 2014-15 სასწავლო წლისთვის მისი ფასი გაიზარდა და გახდა 3 ლარი და 20 თეთრი, როგორც ხედავთ, 40-თეთრიანი მატებაა. აი, ეს საიდან იყო გამოწვეული, სამწუხაროდ, ინფორმაცია არ მიგვიღია.

**— როგორ ფიქრობთ, არის აქ კორუფციის ნიშნები?**

– საფუძვლიანი ეჭვია, რომ კორუფციის ნიშნები არსებობს, ის ორი კომპანიაც ბადებს ეჭვს, ვინ დგანან მათ უკან და დანაშაულებრივი კვალი ხომ არ მიდის განათლების სამინისტროს მაღალჩინოსნებთან? მათ შორის ხომ არ იყო რაიმე საქმიანი მოლაპარაკებები? რა თქმა უნდა, კითხვის ნიშნები არსებობს, იმ ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე, რაც ხსენებულმა სააგენტომ მოგვაწოდა. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილთან დაკავშირებით კიდევ ვაპირებ მუშაობის გაგრძელებას, რადგანაც აღმოვაჩინეთ, რომ 2015-16 წლისთვის ხარჯვის კიდევ უფრო კატასტროფული შედეგია: 2015-16 სასწავლო წლების ბიუჯეტში გამოყოფილია 15 მილიონი ლარი, რაც ნიშნავს, რომ, ეტყობა, თავიდან იწყებენ პროექტს, რადგანაც პროექტის განხორციელების პირველ ეტაპზე, როცა ბატონი მარგველაშვილი იყო მინისტრი, პროექტის განხორციელება დაიხარჯა 11 მილიონი და მესამე ეტაპზე კი, იმის მაგივრად ბიუჯეტი შემცირებულიყო, თანხა გაცილებით მეტი უნდა დაიხარჯოს? ამისთვის არამარტო სანიკიძეს, მთლიანად მის გუნდს უნდა მოეკითხოს პასუხი, რადგანაც, პრემიერის განცხადებით, განათლება ერთ-ერთი პრიორიტეტია სახელმწიფოში და როცა ამ სიტუაციაში ასეთ დარღვევებს ვხვდებით, მიმაჩნია, რომ აუცილებლად პასუხი უნდა აგოს მინისტრმა და ასევე, მინისტრის მოადგილეებმა. ჩვენ ვცდილობთ, გავარკვიოთ, ვინ დგას იმ ორი ცნობილი სტამბის უკან და სულ მალე ახალ ინფორმაციას მოგაწვდით.

**ამის შემდეგ დავუკავშირდით განათლების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელს ნატა ასათიანს, ვუამბეთ ორგანიზაციის კვლევის შესახებ და კომენტარი ვთხოვეთ. ასათიანი დაგვპირდა პასუხს, მაგრამ შემდეგ ჩვენს ზარს აღარ უპასუხა. ასევე, შევეცადეთ, დავკავშირებოდით და პასუხი მიგვეღო გაერთიანებული ქართული სტამბა „ფავორიტე სპრინტისგან“, ნამდვილად უტენდეროდ მოხდა თუ არა მათგან სახელმძღვანელოების ბეჭდვა, მაგრამ, სამწუხაროდ, სტამბას ვერ დავუკავშირდით.**

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პრეზიდენტი „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს შეხვდა



საქართველოს პრეზიდენტი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს შეხვდა. საუბრის მთავარი თემები ოკუპირებულ ტერიტორიებზე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში შექმნილი ვითარება და რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის საკითხები იყო. მარგველაშვილმა პარტიის წარმომადგენლების პოზიცია მოისმინა აღნიშნულ თემაზე და მათ საკუთარი მოსაზრება გააცნო. „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ პრეზიდენტის ინიციატივას ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებთან დაკავშირებით დისკუსიის დაწყების თაობაზე. მათ მზადყოფნა გამოთქვეს, მონაწილეობა მიიღონ ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბებაში ანტიანექსიური პოლიტიკის შემუშავების თვალსაზრისით. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## უკანონო შეშა და რწმუნებულის ანგარიშზე ჩარიცხული თანხები



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელს, მთისპირის თემში, ქეთევან ჯინჭარაძეს, ამავე სოფლის ტერიტორიაზე, ხე-ტყის უკანონო ჭრასა და რეალიზაციაში ადანაშაულებენ.

მთისპირის მოსახლეობა ჯინჭარაძეს ამ ბრალდებას ღიად უყენებს. როგორც მათი განცხადებებიდან ირკვევა, მთისპირის საჯარო სკოლამ, ამავე თემში გამგეობის წარმომადგენლისგან, ქეთევან ჯინჭარაძისგან 10 კუბური მეტრი შეშა შეიძინა და მისი ღირებულების თანხა, 800 ლარი, გამგეობის წარმომადგენლის, ფიზიკური პირის, ქეთევან ჯინჭარაძის პირად ანგარიშზე გადარიცხა.

სკოლიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, შეშა სოფლის ხელმძღვანელმა, მის მიერვე გაცემული ცნობის საფუძველზე გაყიდა, ცნობაში კი ნათქვამია, რომ 10 კუბური მეტრი შეშა დამზადებულია სოფლის ხელმძღვანელის საკარმიდამო ნაკვეთში.

სოფლის მოსახლეობა კი ირწმუნება, რომ, შეშა, რომელიც სოფლის ხელმძღვანელმა სკოლას მიჰყიდა, დამზადებულია არა მის საკარმიდამო ნაკვეთში, არამედ სოფლის თემში არსებულ კარიერის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც სახელმწიფო საკუთრებაა და იქ ხე-ტყის ჭრა მხოლოდ შესაბამისი ნებართვების საფუძველზე ხდება. (ნიუპოსტი)



# ვინ მოაწყო აჭარის უმაღლეს საბჭოსთან პროვოკაცია?

**22 დეკემბერს დიდი ხმაური იყო ჩაქვში, აჭარის უმაღლესი საბჭოს შენობასთან, სადაც სოციალურად დაუცველი ადამიანები საპროტესტო აქციას მართავდნენ. აქციის მონაწილეებმა ჭიშკარი შეანგრიეს და უმაღლესი საბჭოს ეზოში შევიდნენ. საქმე ეხება ხელვაჩაურში, ე.წ. 53-ე ბატალიონის ტერიტორიაზე მაცხოვრებლებს, რომელთა გამოსახლებასაც უახლოეს ხანში აპირებენ.**

**როგორც ასლან აბაშიძის ყოფილი პრესმდივანი, უფლებადამცველი თამაზ ბაკურიძე ამბობს „ალიასთან" საუბარში, უმაღლესი საბჭოს წევრი, მედეა ვასაძე სხვადასხვა მედიასაშუალებებით ავრცელებს სიცრუეს, თითქოს 3 ათასი ოჯახიდან დახმარება მხოლოდ 80-ს ეკუთვნის:**

– ეს ქალი დადის და ლაპარაკობს, ღამე, 12 საათიდან 3 საათამდე დასახლებაში დავდივარ და შუქი მარტო 80 ოჯახში ენთოო. კი, მაგრამ ღამის 3 საათზე ეს გაჭირვებული ხალხი შუქს ჩართულს დატოვებს? ან ეს რა წესია, ასე სწავლობს ქალბატონი მედეა მოსახლეობის მდგომარეობას? ახლა უთქვამს, თამაზ ბაკურიძე ყველა ხელისუფლების დროს კრიმინალი იყო და კრიმინალად დარჩაო.

**— ეზოში რატომ შეიჭერით?**

– ვასაძის განცხადებების შემდეგ ხალხი გაღიზიანდა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცუდი ამინდი იყო, ადამიანები მაინც შეიკრიბნენ, აინტერესებთ, რა საიდუმლო დოკუმენტებს ფლობს ვასაძე, რომელსაც, მისი თქმით, არ ასჯაროებს. რაღაც მომენტში უმართავი გახდა სიტუაცია, მე აღარ დამემორჩილნენ. პოლიცია მაკავებდა, ვთხოვე, შემიშვით შიგნით, თორემ ეგენი შენობასაც აილებენ-მეთქი. როგორც იქნა, შევედი, ხალხი გავაჩერე. გამოვიდა სპიკერი, დავით ბაციკაძე და ერთიც სხვა, მაგრამ ვასაძე და ავთო ბერიძე არ გამოსულან. ახლა ვასაძე მემუქრება, ჩვენ შენივე ბიოგრაფიის მიხედვით დაგელაპარაკებითო. თურმე მე ვარ პროვოკატორი და ვიღაცა მმართავს.

**„ალიას" აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მედეა ვასაძე ესაუბრა:**

– იყო მცდელობა შენობაში შემოჭრის, დაცვას დასჭირდა სრული მობილიზება და ამ ყველაფერს სათავეში ედგა თამაზ ბაკურიძე.

**— ის ამბობს, პირიქით, ხალხი მე გავაჩერე, თორემ შენობაში შეიჭრებოდნენო.**

– არა, ის თამაშობს, ჩვენ გადაღებული კადრები გვაქვს. კამერებთან იძახდა, ეს არ შეიძლებაო, მაგრამ ხომ ვხედავდით, რას აკეთებდა?

**— რატომ არ გამოხვედით ხალხთან სალაპარაკოდ?**

– ჩვენ გვინდოდა გამოსვლა, მაგრამ მასა იმდენად ეგზალტირებული იყო, აზრი არ ჰქონდა. იცით, რეალურად რა ხდება? ყოფილი სატანკო დივიზიონის ტერიტორიაზე ხალხის ნაწილი შესახლდა თვითნებურად, როცა ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში. წესით, ეს ყველაფერი თავის დროზე უნდა შეფასებულიყო, გასარკვევი იყო, ვის სჭირდებოდა დახმარება და ვინ არის მიტმასნილი გაჭირვებულებს. შემდეგ სამთავრობო კომისია შეიქმნა და დაიწყო საკითხის შესწავლა. რეალურად დახმარებას საჭიროებს 80-მდე ოჯახი. ახლა იქ მიდის დიდი აღებმიცემობა, ჯიხურები აქვთ ჩადგმული და 70 პროცენტი დაკეტილია. ზოგი 500 ლარად ყიდის, ზოგი – 300 ლარად. ვიღაცები ყიდულობენ იმ იმედით, რომ მთავრობა ოდესღაც დააკანონებს. თუმცა იქ არიან გაჭირვებულებიც, ამას არ უარვყოფ და ამათ უკეთებს მობილიზებას ბაკურიძე. ეს კაცი ნასამართლევია სახელმწიფო ქონების დატაცებისთვის.

**— როგორც ვიცი, ვერ დაუმტკიცეს.**

– არა, მას უსიამოვნება ჰქონდა ასლან აბაშიძესთან, ვინც კაცად აქცია. ჩვენ აჭარაში ძალიან ბევრი რალაცა გავატარეთ ყურსმილმა, რაც არ გვეკადრებოდა, ის გვაკადრა.

**— მე მეუბნებიან, რომ ეს ყველაფერი მოდის მთავრობიდან, კერძოდ არჩილ ხაბაძისგან. თურმე მას უნდა უმაღლესი საბჭოს დაშლა.**

– მიუხედავად იმისა, რომ მე მთავრობის დაუნდობელი კრიტიკოსი ვარ, არა მგონია. ამ მხრივ, ხაბაძის გუნდმა დიდი სამუშაო გასწია. არ გამოვრიცხავ, სხვა შემთხვევებში ბაკურიძე მართლაც იყოს მთავრობიდან მართული. მე გადავწყვიტე, მას ვუპასუხო ძალიან მკაცრად, იმასაც მეუბნებიან, იქ რომ აღებმიცემობა მიდის, მაგ საქმეშია გარეულიო. მე არ მეშინია ამ სიტყვების, დამიფიქსირეთ, როგორც ვამბობ. ის უკვე გადავიდა ყოველგვარ ზღვარს.

**„ალია" თამაზ ბაკურიძეს ხელახლა დაუკავშირდა. მისი თქმით: „თუ მედეა ვასაძე არ დადებს დოკუმენტებს და ფაქტებს, რომ მე გაჭირვებული ხალხით ფულს ვაკეთებ, მაშინ იქით გავცემ საკადრის პასუხს, მთელ აჭარას დავრაზმავ, მივალ ვასაძესთან და ყველა დეპუტატს ზედ მივაყოლებ. ეგენი მე მაბრალებენ იმას, რასაც თვითონ აკეთებენ. კი, მეც ვამბობ, რომ იქ არიან მიტმასნილები და ვიღაცები ყიდიან კიდეც, მაგრამ ეს სწორედ მთავრობამ უნდა გაარკვიოს, დაიწყოს გამოძიება".**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ბათუმი თაუერი" შესაძლოა, სასტუმროდ გადაკეთდეს



ეკონომიკის სამინისტრო „ბათუმი თაუერისთვის" კომერციული დანიშნულების მოძიებას ცდილობს. ეკონომიკის მინისტრის მოადგილის ქეთევან ბოჭორიშვილის თქმით, „ბათუმი თაუერის" შენობის სასტუმროდ გადაკეთების შესაძლებლობაც არსებობს.

ეკონომიკის სამინისტროში განმარტავენ, რომ შენობის გადაკეთების პროექტი დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული და მიმდინარეობს მუშაობა პოტენციური ინვესტორების მოსაძიებლად.

„ბათუმი თაუერი" 2011-13 წლებში აშენდა და ბათუმის ტექნოლოგიური უნივერსიტეტისთვის იყო გათვლილი. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „მაესტრო" ჩემი ყოფილი შვილია, მასზე არც კარგს ვიტყვი და არც ცუდს"



„მაესტროში" მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით მცირე კომენტარი კომპანიის ერთ-ერთმა მეწილემ მამუკა ღლონტმა გააკეთა და განაცხადა, რომ საკუთარი წილის დათმობა სურს, თუმცა ჯერჯერობით ამას ვერ ახერხებს.

„არ მსურს კომენტარის გაკეთება, რადგან „მაესტრო" არის ჩემი ყოფილი შვილი, მასზე არც კარგს ვიტყვი და არც ცუდს, მე „მაესტროში" ისევ მაქვს წილი, იმიტომ რომ სააკაშვილის მიერ დადებულ ყადაღას არ ხსნის „ქართული ოცნება", რატომ არ ხსნიან ყადაღას და რა ზრახვები აქვს ხელისუფლებას არ ვიცი". – განაცხადა ღლონტმა. (ნიუპოსტი)

## მოლდოვის დროშით მცურავი გემი დაჯარიმდა




ბათუმის ნავსადგურში მოლდოვის დროშის ქვეშ მცურავი გემის მიერ შავ ზღვაში სამეურნეო-ფეკალური წყლების ჩაღვრის ფაქტი დაფიქსირდა. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამსახურის თანამშრომლების მიერ მოხდა დარღვევის აღკვეთა.

სამართალდამრღვევს 65 000 ლარის ოდენობით ჯარიმა დაეკისრა. მათ, აგრეთვე, გარემოსთვის მიყენებული ზიანისთვის, 4400 ლარის გადახდა მოუწევთ. (ნიუპოსტი)

# „სითი პარკი" მანქანებს ავტოსადგომზე ვეღარ გადაიყვანს?



„დემოგრაფიული განვითარების ფონდის" დირექტორი ზვიად ტომარაძე „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე წერს: „მეგობრებო! თავს ვალდებულად ვთვლი, გაცნობოთ: მაისში მე და როინ მიგრიაულმა დავწერეთ კანონპროექტი, რის მიხედვითაც „სიტი პარკს" შეეზღუდება ჩვენი მოქალაქეების ავტომობილების მოპარვა (სპეციალურ ავტოსადგომზე გადაყვანა), მიუხედავად იმისა, რომ განხილვების დროს გამოთქმული ყველა შენიშვნა ჩვენ მიერ გათვალისწინებულ იქნა, დღემდე ვერ მოხერხდა მისი დარეგისტრირება პარლამენტში (ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო). ამჯერად შეგვპირდნენ, რომ იქითა კვირაში დარეგისტრირდება და განხილვა საგაზაფხულო სესიაზე მოხდება".

**რა მუხლი აძლევს „სითი პარკს" მანქანის „გატაცების" საშუალებას? რა იცვლება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში?**

**„ალიას" ზვიად ტომარაძე ესაუბრა:**

**— ბატონო ზვიად, რა წერია იმ კანონპროექტში, რომელიც „სითი პარკთან" დაკავშირებით შეიმუშავეთ?**

– 2007 წლიდან „სითი პარკის" მხრიდან მოქალაქეთა ავტომობილებზე მიმდინარეობს ყაჩაღური ნადირობა, გადაჰყავს ავტომობილები სპეციალურ ავტოსადგომზე, რითაც მოქალაქეებს მორალურ და მატერიალურ ზიანს აყენებს. გარდა ამისა, ავტომობილების გადაყვანა ხორციელდება უსაფრთხოების წესების დაცვის გარეშე, რის შედეგადაც ხშირია ავტომობილების დაზიანების შემთხვევები. ავტოსადგომზე გადაყვანილი ავტომობილების მფლობელთა მიერ კომპანია „სითი პარკის" წინააღმდეგ სასამართლოში შესული საჩივრებიდან ყველა დაკმაყოფილდა. სასამართლომ „სითი პარკის" მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი იმ მიზეზით გამოიტანა, რომ არასწორი პარკირებისთვის უნდა დაეჯარიმებინა სამართალდამრღვევი და არ უნდა გადაეყვანა მისი ავტომობილი ევაკუატორით დაცულ ავტოსადგომზე, რადგან კანონის მიხედვით ტერმინი „მიტოვებული ავტომობილი" ბუნდოვანია და 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილი საჭიროებს დახვეწას. ასევე, თუ ავტომანქანა, რომლის მფლობელიც მასში არ იმყოფება, არ აფერხებს მოძრაობას, არ ქმნის საცობსა და საავარიო სიტუაციას, არ უნდა იქნეს გადაყვანილი სპეციალურ ავტოსადგომზე, რადგან ასეთი გადაყვანით ხდება საკუთრების უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა. არსებული ნორმის შინაარსი უკვე გაიზიარეს სასამართლოებმა. „სითი პარკი", გარდა იმისა, რომ სარგებლობს კანონში არსებული ბუნდოვანებით, სარგებლობს იმითაც, რომ უმრავლეს შემთხვევებში დაზარალებული მოქალაქეები კომპანიის წინააღმდეგ არ ჩივიან... მიმაჩნია, რომ ავტომობილის ყაჩაღურად მოპარვა, იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილი არ ქმნის საცობს და არ აფერხებს მოძრაობას, არის ზედმეტად მკაცრი, არაადეკვატური სასჯელი. ასევე, როდესაც კანონდამრღვევის ავტომობილს იპარავენ, აუცილებელია, მოხდეს მისი ინფორმირებულობა. კანონპროექტის მიხედვით სწორედ ეს იცვლება. ასევე, სატრანსპორტო საშუალების გადაყვანის შესახებ უნდა ეცნობოს „112"-ის სამსახურს. თავდაპირველ ვარიანტში ავტომობილის გადაყვანა მხოლოდ „საპატრულო პოლიციის" თანხმობით უნდა მომხდარიყო, თუმცა განხილვების დროს გამოითქვა აზრი, რომ საპატრულო პოლიციის ისედაც გადატვირთულ გრაფიკს, ეს დამატებით კიდევ უფრო გადატვირთავდა, ამიტომ საპატრულო პოლიცია კანონპროექტში აღარ ფიგურირებს.

**— აქამდე რატომ ვერ მოხერხდა ამ კანონპროექტის დარეგისტრირება პარლამენტში, მიზეზი რა იყო?**

– ოქტომბერში სოსო მანჯავიძის ინიციატივით კანონპროექტი განიხილეს საკრებულოში, სადაც მოიწონეს, თუმცა, საქმე ამის იქით აღარ წასულა... მიუხედავად იმისა, რომ ყველა შენიშვნა გავითვალისწინეთ, პარლამენტში დარეგისტრირებას ხან რა უშლის ხელს, ხან – რა, ამჯერად დაგვპირდნენ, რომ ახალ წლამდე დარეგისტრირდება.

**— მერიაში „სითი პარკზე" ხმას აღარ იღებენ. ინფორმაცია ხომ არ გაქვთ, რა ხდება?**

– მგონია, რომ მერიას ამ საკითხის მოგვარების არც პოლიტიკური ნება აქვს და არც ამის გადაწყვეტის უნარი.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16



# დემურ გიორხელიძე: „ახალი წლის შემდეგ ხელისუფლება ლარს სირბილით რომ გამოეკიდოს, მაინც ვერ დააკავებს“

„წლის ბოლომდე დარჩა ზუსტად 7 დღე. ბიუჯეტის გეგმის შესასრულებლად საჭიროა ზუსტად 819 მილიონი ლარის დახარჯვა. რომც გადაერიცხოს წლის ბოლომდე ეს თანხა შესაბამის ორგანიზაციებს, ამით გზები აშენდება თუ სკოლები? ამ დღეებში შემოვიდა დაგვიანებული უცხოური კრედიტებისა და გრანტების ნაწილი, რომლებიც წლის პირველ ნახევარში უნდა შემოსულიყო და მოხმარებოდა რეალურ საქმეს. 30-31 დეკემბერს, ალბათ, სხვა თანხებიც შეიძლება გადმოირიცხოს. თუ მთავრობა მოისურვებს ბიუჯეტის ქაღალდზე „შესრულებას“, მერე არ თქვას, ლარი იმიტომ გაუფასურდა, რომ რუსეთში ცუდადაა საქმეო“.

ეს განცხადება „ეკონომიკური განვითარების ცენტრის“ ხელმძღვანელს, რომან გოცირიძეს ეკუთვნის. როგორც ბატონი რომანი ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ჩვენ ხელისუფლება უნდა გავაფრთხილოთ, რომ ლარს პატივი სცეს და თანხები არ გადარიცხონ ბოლო ორ დღეში, რათა მერე ეს ფული ვალუტის საყიდლადვე არ შემოატრიალონ სავალუტო ბაზარზე. ზუსტად ასევე მოხდა შარშან.

**რა მოხდა შარშან და ამჯერად რასთან გვაქვს საქმე? რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ ლარის კურსის შესანარჩუნებლად?**

**„ალიასთან“ ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძე საუბრობს:**

– ამას ჰქვია არაორგანიზებულობა, სამინისტროების მხრიდან გულგრილობა, საქმის არგაკეთება. განსაკუთრებული დანაშაული ჩაიდინეს იმ სამინისტროების ხელმძღვანელებმა, რომლებიც ტენდერებს აცხადებდნენ. როგორც მე ვიცი, ყველაზე დიდი დანაშაული მოდის ინფრასტრუქტურის სამინისტროზე. აი, ეს ერთ-ერთი მიზეზი იყო ლარის კურსის ვარდნაზე, რაც მოხდა ცოტა ხნის წინ. თავის დროზე არ ჩატარდა ტენდერები... ვიმეორებ, არ ჩატარდა და არა, ვერ ჩატარდა, იმიტომ რომ ობიექტურ ტენდერებზე დღეს საუბარი არასერიოზული ადამიანისგან თუ შეიძლება. კონკურსებში რომ გაამარჯვებინონ, საკუთარი წრიდან ეძებენ ადამიანებს და ამის გამო არ ჩაატარეს. უამრავი პროექტი დარჩა განუხორციელებელი.

**— ბატონო დემურ, ახლა რომ თითქმის მილიარდი ლარი გადაურიცხონ სამინისტროებს, რა მოხდება?**

– რა თქმა უნდა, ფულის მასა ისევ ლარის კურსს დააწვება და დაიწყება ისევ ქაოსი. ლარმა უკვე მოსინჯა 2-ლარიანი ნიშნული, ახლა ამ ნიშნულსაც გაანგრევს. ამ ყველაფერს ხელს შეუწყობენ მხარჯველი უწყებები.

**— როგორც რომან გოცირიძე ამბობს, შარშანაც დაახლოებით იგივე მდგომარეობა იყო, მაგრამ შედარებით იოლად გადავრჩით. თუ შეიძლება, ამიხსენით, ამ ფულის შემოტრიალება რანაირად შეიძლება სავალუტო ბაზარზე?**

– ეს მარტივი რაღაცაა, სახელმწიფო უწყებები იღებენ ტენდერებისთვის ფულს, ვერ ხარჯავენ, ამ ფულს ხსნიან, გარბიან და ახურდავებენ დოლარებში. ამის შემდეგ დოლარზე იქმნება მოთხოვნა, იქმნება დეფიციტი, ლარი უფასურდება და ისინი რჩებიან მოგებაში. ეს დამოკიდებულია, რამდენად მარიფათიანი ხარ, რომ სახელმწიფოს ხარჯზე კარგად იცხოვრო, საქართველო ხომ მარიფათიანი ხალხის სახელმწიფოა? დღეს ქვეყნის განვითარებაზე ლაპარაკი სასაცილოა, ვინც ამაზე ლაპარაკობს, არანორმალურად მიაჩნიათ.

**— კი, მართლა მარიფათიანი უნდა იყო, რომ საბაჟოზე ვიღაცას მობილური ტელეფონები ჩამოართვა, წაიღო და თანამშრომლებს აჩუქო, ამას მოფიქრება არ უნდა?**

– (იცინის) აბა, კაცო, ძალიან ნიჭიერი უნდა იყო, ეს რომ მოიფიქრო. ასეთ მაზალო ქვეყანაში ვცხოვრობთ.

**— ანუ უნდა ვივარაუდოთ, რომ ახალი წლის შემდეგ ლარი ისევ დაიწყებს რყევას?**

– მე ვფიქრობ, ახალი წლის დღეებში, უბრალოდ, ერიდებიან ხალხის გაღიზიანებას, თორემ ეროვნული ბანკიც მშვენივრად თაღლითობს... არ მოვერიდები ამ სიტყვებს, მართლა თაღლითობს და მთავრობის სისუსტეებით ძალიან კარგად სარგებლობს. ახალი წლის შემდეგ ხელისუფლება ლარს სირბილით რომ გამოეკიდოს, მაინც ვერ დააკავებს, ის უცებ გაანგრევს 2-ლარიან ნიშნულს, შემდეგ რა მოხდება, ეს დამოკიდებული იქნება სახელმწიფო პოლიტიკაზე. აქ ჩვენ უკვე ვაწყდებით ფულის მასის პრობლემას და არა ლარის კურსის პრობლემას.

**— რა უნდა გააკეთოს ამ შემთხვევაში ხელისუფლებამ, ეს ფული მაინც ხომ უნდა გაუშვას მიმოქცევაში? თუნდაც თავი დავანებოთ სავალუტო ბაზარზე მანიპულაციებს.**

– თუ მონეტარული პოლიტიკა დაქვემდებარებული არ იქნა სწრაფი ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების მიზნებისადმი, ვერანაირი ხრიკები შედეგს ვერ გამოიღებს. წლებია, საქართველოში ცენტრალური მაკროეკონომიკური პრობლემა გადაჭრილი არ არის. სად გაგონილა, ვალუტა 7,5%-ით მყარდებოდეს რამდენიმე საათში, როცა ფუნდამენტური ფაქტორები არანაირად არ შეცვლილა?! რომელი ქვეყნის ეროვნული ბანკი ბედავს იმას, რასაც ესენი ბედავენ? კი, ბატონო, გაბედეს, გაუვიდათ და ახლა უფრო მეტს გაბედავენ!

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გურიის გუბერნატორის მოვალეობას ქეთი მოისწრაფიშვილი შეასრულებს



გურიის სამხარეო ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ქეთი მოისწრაფიშვილი, გურიის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა.

არსებული ინფორმაციით, მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა მას შემდეგ გახდა მთავრობის დღის წესრიგის თემა, რაც, ამ ვაკანტურ თანამდებობაზე მსურველ კანდიდატთა შორის დაპირისპირებამ და ურთიერთ კომპრომატებმა, გადაწყვეტილების მიმღების მიერ, ახალი გუბერნატორის კანდიდატურაზე ჩამოყალიბება გააჭიანურა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „2016-17 წელს მასწავლებელთა ანაზღაურება საშუალო ხელფასებზე უფრო მაღალი იქნება“



განათლების მინისტრმა თამარ სანიკიძემ სამინისტროს ორწლიანი მუშაობა შეაჯამა. მისი განცხადებით, 2016-17 აკადემიური წლისთვის მასწავლებლის ხელფასი იქნება საქართველოში არსებულ საშუალო ხელფასზე უფრო მაღალი.

სანიკიძის თქმით, მასწავლებლების ხელფასების ზრდა იგეგმება 2015 წლის სექტემბერში, შემდეგ 2016 წლის აპრილში, დარეგულირება კი 2017 წლის იანვარში მოხდება. სანიკიძის განცხადებით, 2013 წელს პედაგოგთა ხელფასები ჯამში 70 ლარით გაიზარდა, საბაზისო ხელფასების ზრდა კი 100 ლარით ორ ეტაპად იგეგმება. (ნიუპოსტი)

## ხანძარი მერიაში — ცეცხლი მე-17 სართულზე გაჩნდა

თბილისის მერიაში ხანძარი გაჩნდა. ცეცხლი მე-17 სართულზე ლიფტის გვერდით ელექტროსადენების გამანაწილებელს გაუჩნდა. ხანძარი მოკლე ჩართვამ გამოიწვია.

მერიის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა ხანძრის ჩაქრობა დროულად მოახერხეს. (ნიუპოსტი)

# საქართველოში არეულობის მოსაწყობად სააკაშვილი უკრაინაში ლეგიონს ქმნის?



„თავისუფალი თაობის“ ერთ-ერთი ლიდერი ლადო სადღობელაშვილი „ფეისბუკით“ განცხადებას ავრცელებს: „სააკაშვილი ქმნის პირად ლეგიონს უკრაინაში. რეალურად ეს ის ძალაა, რომელიც თავის დროზე ახალაიებს ექვემდებარებოდნენ. ჩემი ინფორმაციით, ამ დროისთვის მათი რაოდენობა არ აღემატება 500 კაცს... დაგეგმილი აქვთ, 3000-მდე გაიზარდოს მათი რიცხვი. კბილებამდე შეიარაღებული „ნაცლეგიონი“, რომელთა ხელფასი თუნდაც ფრანგული „უცხოელთა ლეგიონის“ ჯარისკაცის ხელფასს დაახლოებით სამჯერ აღემატება, ნებისმიერ მომენტში სააკაშვილის ერთი ბრძანების საფუძველზე მზად იქნება, დაიძრას საქართველოს მიმართულებით და დაუპირისპირდეს დღევანდელ ხელისუფლებას. მიზეზი იქნება ბანალური – ჩვენ ვართ პროდასავლელები, ესენი არიან პრორუსები... სამწუხაროა, რომ ამის ალბათობა არსებობს და თანაც საკმაოდ მაღალი...“

**რამდენს უხდიან უკრაინაში წასულ ქართველ მებრძოლებს? რის მოლოდინში არიან და რისთვის ემზადებიან „ნაციონალები“?**

**„ალიას“ ლადო სადღობელაშვილი ესაუბრა:**

**— ლადო, ადრეც საუბრობდით „მაიდანის“ სცენარის განმეორებაზე თბილისში, საბურავების დაწვაზე... მსგავსი არაფერი მომხდარა, ამჯერად რამდენად სანდოა თქვენი ინფორმაცია?**

– „მაიდანი“ არ იყო მხოლოდ იმიტომ, რომ ძალიან საეჭვოდ ჩამოვიდა ჯორჯ სოროსი საქართველოში, თანაც 15 ნოემბერს. არაა რთული მისახვედრი, რატომ ჩამოვიდა სწორედ იმ დროს ის და არც ის იყო შემთხვევითი, რა განცხადებაც მან გააკეთა. მან თქვა, ყველაფერი კარგად ყოფილა, სააკაშვილმა ვერ გაამართლა ჩვენი იმედებიო, ახლა წავედი მე უკრაინაშიო. მან ერთგვარი ბრძანება გასცა, რომ არც საბურავები ყოფილიყო და არც აქციების გაგრძელება. მე ღიად გავაჟღერე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სააკაშვილი ლეგიონს ქმნის.

**— რატომ?**

– თავდაცვის სამინისტროს განცხადების მერე დიდი ნიაღვარი წარმოვიდა თავდაცვის მინისტრის მისამართით, ყველაზე მეტად ამით სპეკულირებდნენ „ნაციონალები“, ვინმე ბორჩხაძე და „პიკასოს“ კლუბელები. ამათ აწყობთ, ქვეყანაში აირიოს სიტუაცია და სულ ექნებათ გულმხურვალე გამოსვლები ნებისმიერ შეცდომაზე, რომელსაც ხელისუფლება დაუშვებს. სწორედ ამიტომ დავინტერესდი ამ თემით და მაცნობეს, რომ ქვედანაყოფები იშლება. ასევე, იშლებიან ასეულები, რომლებიც ნატოს მიერ არის დატრენინგებული. ეს ის ჯარია, რომელიც ერაყში, ავღანეთში იბრძოდა, სხვა ქვეყნის ჯარში ყოფნისას გაიარეს მაღალი სტანდარტის საბრძოლო წვრთნები. როგორც გავიგე, ზოგი უარს აცხადებს კონტრაქტზე და სადღაც მიდის.

**— სად სადღაც?**

– საქართველო პატარაა და არაფერი იმალება, ისინი კონტრაქტს არღვევენ იმიტომ, რომ წავიდნენ უკრაინაში. საკმაოდ დიდ თანხას უხდიან. მე როგორც ვიცი, საფრანგეთის „უცხოელთა ლეგიონში“ რიგით ჯარისკაცს 3 ათას ევროს უხდიან, ამათ კი 6 ათას ევროზე ოდნავ მეტს უხდიან. კი, გასაგებია, რომ საერთო მტერთან საბრძოლველად მიდის, მაგრამ ამას სხვა კუთხეც აქვს. ამ ჯარს ფულს უხდის სააკაშვილი, მათი ხელფასი სააკაშვილის მიერ მოძიებული ფულია. როგორც აღმოჩნდა, სააკაშვილს აქვს გეგმა, რომ გამოიყენოს ეს ლეგიონი თავისი მიზნებისთვის. ჩემი ინფორმაციით, პირველი ამ ლეგიონში ბაჩო ახალაიას დროინდელი ჯარისკაცები წავიდნენ, ვისაც მაღალი დონის წვრთნები აქვთ გავლილი და აქ „ზონდერობდნენ“. ეს აგრესიული მასა ერთ მშვენიერ დღეს, 1500 კაცის ოდენობით, ემზადება ქვეყანაში არეულობის მოსახდენად.

**— მერე, ასეთი ადვილია არეულობის მოწყობა? როდისთვის ემზადებიან „ნაციონალები“?**

– ზუსტი თარიღი არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ეს ჯარი საკმაოდ ძვირად ფინანსდება, გაწვრთნილია და ვერანაირი ქართული პოლიცია ვერ აღუდგება მას. ფულის გამო ამ ლეგიონის რიცხვი იზრდება და ეს ძალიან ცუდ შედეგს მოიტანს. ბრძანებას მიიღებს თუ არა, ლეგიონი მზადაა. არანაირი ალბათობა არ არსებობს, რომ „ნაციონალები“ არჩევნების გზით დაბრუნდებიან ხელისუფლებაში, მათ მშვენივრად იციან, რომ ერთადერთი გზა არის არეულობა და ტყვიის გასროლა. არც ხალხის იმედი აქვთ, ამიტომ ნებისმიერი არეულობით ისარგებლებენ.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# რაზე მოილაპარაკეს მერიაში საცობებთან დაკავშირებით?

თბილისის მერიაში თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საკრებულოს წარმომადგენლები, არქიტექტორები შეიკრიბნენ და თბილისში საცობების პრობლემის მოგვარებაზე დახურულ სხდომაზე იმსჯელეს.

დავით ნარმანიას განცხადებით, შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ 7 პრიორიტეტზე: ჩატარდება კვლევა, რომელიც სატრანსპორტო საცობების წარმოქმნის მიზეზებს დაადგენს; პუშკინის ქუჩაზე ორმხრივი მოძრაობა აღდგება, ლაგუნა ვერეს მიმდებარე ტერიტორიაზე კი საგზაო მოძრაობა გაფართოვდება; რეგიონალური და ინფრასტრუქტურის სამინისტრო დაასრულებს თბილისის შემოვლით გზის მშენებლობას, რათა დიდმა სატრანსპორტო საშუალებებმა დედაქალაქის ტერიტორია არ გადაკვეთონ და შემოვლითი გზით ისარგებლონ; ცალკეულ ადგილებზე დაიდგმება თანამედროვე ტიპის ელექტრონული მართვის შუქნიშნები, რომლის პირველ შედეგებს გაზაფხულზე ელოდებიან; შესაძლოა, ზოგიერთ ადგილებზე გაუქმდეს პარკირების ადგილები; ჩატარდება საინფორმაციო კამპანია მძღოლებისთვის, თუ სად უნდა გააჩერონ ან არ გააჩერონ, ავტომობილი სატრანსპორტო საცობი რომ არ გამოიწვიონ.

**რაზე მოილაპარაკეს მერიაში საცობებთან დაკავშირებით? რა არის სასწრაფოდ შესაცვლელი? რა პირობა დადო დავით ნარმანიამ?**

**„ალიას" შეხვედრის მონაწილე, საკრებულოს დეპუტატი შალვა ოგბაიძე ესაუბრა:**

– მისასალმებელია, რომ პირველად მოხერხდა ასეთი წარმომადგენლობითი შეხვედრა ქალაქის მერის ინიციატივით. ანუ ეს პირველი ნაბიჯია, რასაც ჩვენ ხშირად ვამბობდით. ხშირად ვამბობდი თუნდაც „ალიასთან" ინტერვიუში, რომ საჭირო იყო კოორდინირებული მუშაობა ამ თემასთან დაკავშირებით. საშუალო სიჩქარე, დაბრკოლება გზაზე, ჩამქრალი შუქნიშანი, ახდილი ჭა, პრივატიზებული მოედანი – ამ საკითხებთან შეხებაში მყოფი სხვადასხვა სამსახურების შეხვედრა მოხდა. რახან პირველი ნაბიჯი გადაიდგა, ველოდებით სწრაფ ნაბიჯებს სწორი მიმართულებით.

**— ვისგან ელოდებით სწორი მიმართულების განსაზღვრას?**

– ექსპერტებისგან, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, სპეციალისტებისგან. უნდა დაიწყოს გახსნილი დებატები, რადგან ადამიანი ისეა შეწუხებული, საცობში მყოფს რომ ჰკითხო, გინდა თუ არა ნატო და ევროკავშირიო, გიპასუხებს, ჯერ სახლში შესვლა მინდაო.

**— 7 პრიორიტეტი განისაზღვრა შეხვედრაზე. რამეს დაამატებდით?**

– შეხვედრაზე ყველას ჰქონდა საშუალება, ეთქვა, რა ქმნიდა საცობს დედაქალაქში. კი ვიცით, საცობი რითაცაა გამოწვეული, მაგრამ ახლა მთავარია, ამას როდის აღმოვფხვრით. პირველი, რა საკითხიც დავაყენე და ვუთხარი მერს, იყო ის, რომ პირველ რიგში სწრაფი და ადეკვატური რეაგირებაა საჭირო. არ სჭირდება გაეროს რეზოლუცია ახდილ ჭას. უნდა მივიდეს სამსახური, რომელიც დადგამს ჭრელ კონუსს, რომელსაც მეგზევეები იყენებენ ხოლმე, იაფფასიანი შუქნიშანია, რომლითაც ადამიანს აძლევს ნიშანს, რომ იქ ორმოა. როცა შენი თანამოქალაქე დაინახავს, რომ მის ზარს მოჰყვა რეაგირება, ის მოითმენს ერთი დღე, ორი დღე და ეცოდინება, რომ საქმე კეთდება. მაგრამ როცა ადამიანი რეკავს, ეუბნება პრობლემას, რომ ჭა ახდილია და თვეები გადის, არაფერი არ კეთდება, მას რწმენა ერყევა. ნაკლებად ვსაუბრობ პოლიტიკურ გემოვნებაზე, მაგრამ ადამიანს გული უცრუვდება ადგილობრივ თვითმმართველობაზე. საცობების აღმოსაფხვრელად პირველ რიგში საჭიროა სწრაფი რეაგირების ჯგუფის მისვლა.

**— ეს თქვენი ინიციატივა, სწრაფი რეაგირების ჯგუფის შექმნაზე, უმრავლესობამ ხომ ჩააგდო, კიდევ აპირებთ საკითხის დაყენებას?**

– არ ჩაუგდიათ ჯერჯერობით, შევთანხმდით ქალაქის მერთან ერთად, რომ ახალი წლის მერე გავაკეთებთ ამ პროექტის პრეზენტაციას არასამთავრობოებთან ერთად. ჩვენ მათ შევთავაზებთ მოკლევადიან, სწრაფი მოქმედების გეგმას, შემდეგ უნდა დაიდოს ქალაქის გენგეგმა, რომელიც პარალელურ რეჟიმში უნდა გაკეთდეს. იმ 7 პუნქტიდან ერთ-ერთი იყო კვლევა, რაც ძალიან აუცილებელია და რახან ითქვა, რომ დუბლინიდან მოიწვიეს სპეციალისტები, დიდი ინტერესით ველოდები ამ კვლევას. შარშან ფრანგულმა კომპანიამ ჩაატარა, ირლანდიელებს დიდი გამოცდილება აქვთ საცობების მართვის საკითხებში, მე ველოდები სწრაფ შედეგს.

**— ეს რამდენად მალე მოხდება, თქვენი გათვლებით?**

– ერთ კვირაში არარეალისტური იქნება. რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს, თორემ ამით მოსახლეობის გარდა, მთელი სიმძიმე საპატრულო პოლიციაზე გადადის. 4 საათი დგანან და თავის ძირითად საქმიანობას წყდებიან. მე ველოდები მალე შედეგს, არ უნდა გაიჭიმოს. ისეთი წარმომადგენლობითი შეხვედრა იყო, რომ, წესით, არ უნდა გადაიდოს დიდხანს ეს თემა.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „კაბელების" საქმის ადვოკატები ძალოვანი უწყების წინააღმდეგ




ე.წ. კაბელების საქმეზე დაკავებულთა ადვოკატები, საქალაქო სასამართლოს შსს-თან შუამდგომლობას სთხოვს.

როგორც ადვოკატი, ლევან სამუშია განმარტავს მათ შს სამინისტროსგან ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტით მომსახურების მიმწოდებელი, კონტრაქტორი კომპანიების შესახებ ოფიციალური ინფორმაციის გასაჯაროება ორჯერ მოითხოვეს, თუმცა უწყებამ მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. როგორც სამუშია აცხადებს, მოთხოვნის საფუძველი გახდა ის ფაქტი, რომ „კაბელების" საქმესთან შედარების კონტექსტში შინაგან საქმეთა სამინისტრომ განცხადება გააკეთა, რომ მათ კომპანია „დელტა კომი" პრაქტიკულად, უფასოდ ემსახურება. თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც. ადვოკატები ვარაუდობენ, რომ თანხა, რომელსაც უწყება „დელტა კომს" უხდის, კოლოსალურია.

„მოვითხოვე ამ წერილით, აქვს თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტროს „დელტა კომთან" და სხვა კომპანიებთან გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულება ოპტიკურ-ბოჭკოვანი მომსახურების შესახებ და თუ ჰქონდათ, რა თანხას იხდიდნენ ამაში. შსს-ს არ სურს ამ ინფორმაციის გამჟღავნება და რადგან ინფორმაცია ვერ მივიღეთ, გადავწყვიტეთ, მივმართოთ სასამართლოს, რომ გაგვიწიოს დახმარება ამ ინფორმაციის მოპოვებაში", – განმარტავს ადვოკატი. (ნიუპოსტი)

## ომბუდსმენი მთავარ პროკურორს წინადადებით მიმართავს



საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, რათა შსს სიღნაღის რაიონული სამმართველოს წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესი წარიმართოს ეფექტიანი გამოძიების ერთ-ერთი სტანდარტის – სისწრაფის დაცვით. ამის შესახებ ომბუდსმენის აპარატის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი. „სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ი.ფ.-მ, რომელიც მიუთითებდა, რომ 2008 წლის 12 დეკემბრიდან დღემდე შსს სიღნაღის რაიონულ სამმართველოში მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, დოკუმენტების გაყალბების ფაქტზე. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ი.ფ.-ს შეზღუდული აქვს საკუთრებით სარგებლობის/განკარგვის უფლება.

2008 წლიდან დღემდე, ნაკლებად მძიმე დანაშაულთა ფაქტზე გამოძიების მიმდინარეობის ხანგრძლივობა ვერ პასუხობს ეფექტიანი გამოძიების ისეთ უმნიშვნელოვანეს ელემენტსა და სტანდარტს, როგორიცაა სახელმწიფოს ვალდებულება – უზრუნველყოს სწრაფი გამოძიების ჩატარება. ამიტომაც, საქართველოს სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მოქალაქის კანონისმიერი უფლებების დარღვევას", – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## მეოთხე მექანიზირებული ბრიგადის ასეული ავღანეთში ჩავიდა



საქართველოს შეიარაღებული ძალების IV მექანიზებული ბრიგადის ნაკრები ასეულის პირადი შემადგენლობა უკვე ავღანეთშია. ქართველი სამხედროები, გერმანული სარდლობის დაქვემდებარებაში, ავღანეთის ჩრდილოეთით მაზარ-ი-შარიფში მდებარე სამხედრო ბაზა „მარმალზე" საერთაშორისო მისიას 6 თვის განმავლობაში შეასრულებენ. ასეული როტაციის წესით ერთ-ერთ გერმანულ დანაყოფს ჩაანაცვლებს. IV მექანიზირებული ბრიგადის ასეულმა საქართველოში 13-კვირიანი წვრთნა, ხოლო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, „ვილდფლეკენისა" და „ჰამელბურგის" სამხედრო ბაზებზე, 5-თვიანი სწავლება რამდენიმე ეტაპად გაიარა. ჯარისკაცებს, გერმანელი ინსტრუქტორების მეთვალყურეობით, ბუნდესვერის ჯარისკაცებთან ერთად, ინდივიდუალური, ოცეულის, ასეულის დონის კომბინირებული და სიტუაციური წვრთნები ჩაუტარდათ. გერმანელი ინსტრუქტორების მიერ სამხედროების მომზადების დონე და საბრძოლო მზადყოფნა კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად დადებითად შეფასდა. (ნიუპოსტი)

# რაზე ესაუბრა პრეზიდენტი „თავისუფალ დემოკრატებს?



**პრეზიდენტი მარგველაშვილი პარტია „თავისუფალი დემოკრატების" ლიდერებს შეხვდა. შეხვედრას „თავისუფალი დემოკრატების" მხრიდან ესწრებოდნენ ირაკლი ალასანია, მაია ფანჯიკიძე, ვიქტორ დოლიძე და ირაკლი ჩიქოვანი. დიალოგში მონაწილეობა მიიღეს უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელმა ირინე იმერლიშვილმა და მისმა მოადგილემ, ივლიანე ხაინდრავამ, ადმინისტრაციის უფროსმა დავით პატარაიამ და პრეზიდენტის მრჩევლებმა გიორგი აბაშიშვილმა და თენგიზ ფხალაძემ.**

**რა საკითხებზე ისაუბრეს შეხვედრაზე ქვეყნის პირველმა პირმა და „თავისუფალმა დემოკრატებმა?**

**„ალიას" „თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი, ირაკლი ჩიქოვანი ესაუბრა:**

– შეხვედრაზე, ძირითადად ისეთ საკითხებზე ვისაუბრეთ, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკას შეეხებოდა. ვისაუბრეთ იმ პროცესებზე, რაც რუსეთს აქვს დაწყებული ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში პრაქტიკული ანექსიის თვალსაზრისით. ვისაუბრეთ იმ ნაბიჯებზე, რომლის გადადგმაც ქართული მხარისთვის მნიშვნელოვანი და აუცილებელია, რათა ეს პროცესები შეჩერდეს და მოხდეს ამ საკითხთან მიმართებაში საერთაშორისო საზოგადოების კონსოლიდირება.

**— ასეთი ადვილია ამ პროცესების შეჩერება?**

– რა თქმა უნდა, ჩვენ შორს ვართ, რომ ეს საკითხი ძალიან მარტივად და ერთ დღეში გადაწყდება, მაგრამ ჩვენ გვქონდა პოზიციები, რომელიც „თავისუფალმა დემოკრატებმა" გავაცანით პრეზიდენტს. ზოგადად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პრეზიდენტი ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ ცდილობს, ჩამოაყალიბოს საერთო ეროვნული კონსენსუსი, იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს ერთიანი გეგმით მოქმედება, რადგან საქართველოს მთლიანობა და მისი ევროატლანტიკური მომავალი არის ჩვენი ქვეყნის ნომერ პირველი ამოცანა.

ასევე, ამ კონტექსტში და ამ ჭრილში წამოიწია პრეზიდენტის როლი თავდაცვის ორგანიზების საკითხებში. საუბარი იყო იმ ნაბიჯებზე, რაც გასაკეთებელია ჩვენი ქვეყნის უფრო მეტი დაცულობისთვის. ამაში რა თქმა უნდა, დიდი როლი ენიჭებათ ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებს, იმ შეკავების ძალის განვითარებას, რომელიც უნდა განვითარდეს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში.

**— შეხვედრა დიალოგის რეჟიმში მიმდინარეობდა თუ იყო საკითხები, რაშიც რჩევა გკითხათ პრეზიდენტმა?**

– ეს იყო სამუშაო შეხვედრა, რომელშიც ძალიან აქტიურად იყვნენ ჩართულები, როგორც „თავისუფალი დემოკრატებიდან", ასევე პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან. ამ ადამიანებს ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ, ვინაიდან ვიყავით თანაგუნდელები, პატივს ვცემთ მათ პროფესიონალიზმს და ჩვენ ერთმანეთის გაგება არ გაგვჭირვებია. იყო საკითხები, რომლებში ემთხვეოდა მოსაზრებები, რიგ შემთხვევებში კი არ ემთხვეოდა ერთმანეთს, მაგრამ ყველა შევთანხმდით, რომ ეს იყო მუშა პროცესი, რომელიც ქვეყანაში ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

**— რაში არ დაემთხვა თქვენი მოსაზრებები ერთმანეთს?**

– ძირითადად, ჩვენ ერთმნიშვნელოვნად დავინახეთ ის საფრთხეები, რაც რუსეთის მხრიდან მოდიოდა, ასევე ის, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესები არის პრაქტიკული გაგრძელება უკრაინაში მიმდინარე პროცესებისა, რომელიც წინ უძღოდა 2008 წლის ომს, რაც იყო რუსეთის არაადეკვატური საგარეო პოლიტიკა, რომელსაც ის აწარმოებდა საკუთარი მეზობლების მიმართ და რომელიც მას ძალიან ძვირად უჯდება.

**— რას ამბობს პრეზიდენტი პუტინის განცხადებაზე, რომლითაც რუსეთის პრეზიდენტი ქვეყნის პირველ პირებთან შეხვედრის მზადყოფნას გამოთქვამს?**

– საუბარი ამ თემაზეც იყო, „თავისუფალ დემოკრატებს" ამ საკითხზე მოსაზრება ადრეც გვქონდა და ვთვლით, რომ დეოკუპაციის საკითხი უნდა განხორციელდეს საერთაშორისო თანამეგობრობის ინტენსიური ჩართულობით და ვფიქრობთ, რომ შეხვედრა შესაძლოა იყოს გარკვეული შედეგების მომტანი, მაგრამ ეს შეხვედრა ნაჩქარევად და კონკრეტული მიზნის გარეშე არ იქნება სწორი. თუ დეოკუპაციის საკითხებში შეიძლება რაიმე პროგრესის მიღწევა, ამის ქვაკუთხედად უნდა დარჩეს ჟენევის ფორმატი და სხვა ფორმატებში არ უნდა მოხდეს მისი აღრევა.

**— პრეზიდენტმა რა თქვა?**

– კონკრეტულად, შეხვედრის დეტალი არ განხილულა.

დიანა ლიპარტელიანი
571 80 40 80

# რით ამართლებს საკრებულო სახელფასო დანამატების შემოღებას?



დედაქალაქის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – რესპუბლიკელების“ თავმჯდომარე, ხათუნა სამნიძე, საკრებულოს თანამდებობის პირებზე თანამდებობრივი სარგოს ყოველთვიური დანამატის გაცემის გადაწყვეტილებას აპროტესტებს. „საკრებულოს თავმჯდომარემ გადაწყვიტა, რომ ეს მხოლოდ ბიუროს შეუთანხმოს და მეტს არავის. ბიუროს რეკომენდაციით, რომელსაც ჩვენ მხარი არ დავუჭირეთ, თავმჯდომარეს მიეცა უფლება თანამდებობების პირებზე ყოველი წლის ბიუჯეტიდან თანამდებობრივი სარგოს პროპორციულად ყოველთვიურად დანამატი გაიცეს. როგორც ჩანს, ალიბეგაშვილს არ ეყო პოლიტიკური გამბედაობა, რადგან ეს პოლიტიკური საკითხია და სთხოვა ბიუროს, რომ ბიუროს მხრიდან ყოფილიყო მხარდაჭერილი ეს ინიციატივა“.

**„ალიას“ ხათუნა სამნიძე ესაუბრა:**

– საკრებულომ თავიდანვე თქვა უარი პრემიებზე. ამ საკითხზე მაშინ პოლიტიკური განცხადება გაკეთდა. ეს სამართლებრივად არსად არ დაფიქსირებულა, არც რეგლამენტში, არც სამართლებრივ აქტში. იყო განცხადება, რომელსაც ხელი მოაწერა ყველა დეპუტატმა, პრაქტიკულად 50-ვემ.

**— რა შეიცვალა მას მერე, რა არგუმენტი მოჰყავთ?**

– უმრავლესობას არგუმენტად მოჰყავს, ბევრი მუშაობა გვიწევს, ჩატარდა 180-მდე კომისია, 20 თუ 21 საკრებულოს სხდომაო... საკრებულო ძალიან დიდი დატვირთვით მუშაობს, რაც არის იმის საფუძველი, რომ თანამდებობის პირებს მოემატოთ შემოსავალი და ამას აკეთებენ დანამატის შემოღების სახით. ბიურომ გააკეთა აღნიშნულ საკითხზე რეკომენდაცია, რომელიც სინამდვილეში არ სჭირდებოდა თავმჯდომარეს, რადგან შეუძლია ერთპიროვნულად მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება. არც ბიუროს აქვს უფლებამოსილების ჩამონათვალში რეკომენდაციების გაწევის ფუნქცია, თუმცა ბიუროს სხდომაზე მიღებული იქნა რეკომენდაცია, რომ თავმჯდომარეს შეეძლოს, ბრძანებით დანამატი გამოუწეროს თანამდებობის პირებს და ასეთი დეპუტატი საკრებულოში არის 25.

„რესპუბლიკელები“ ამ ტიპის დანამატებისა და საერთოდაც, თანამდებობის პირებისთვის შემოსავლის ზრდის წინააღმდეგი ვართ. პრემიებზე უარის თქმის მიზეზიც ის იყო, რომ პრემია არ შეიძლება ყოველთვიური იყოს. არც შეიძლება პრემიებით შეფასდეს არჩეული პირის საქმიანობა, რაც არ უნდა დატვირთული და ზეგანაკვეთური იყოს ის. პრემია არჩეული პირისთვის არის ამომრჩევლის შეფასება. თუ პრემიებზე ვამბობთ უარს, რა მნიშვნელობა აქვს, მას რას დაარქმევ, პრემიას თუ დანამატს?!

**— რას აპირებთ?**

– ჩვენს წინააღმდეგი ვართ, არ ვაპირებთ დანამატის აღებას. საკრებულოს თავმჯდომარემ, წესით, ბრძანებით უნდა დაადგინოს დანამატის განაკვეთი, ვისზე გასცემს დანამატს. დრო გვაჩვენებს, რა გადაწყვეტილებას მიიღებს. ჩვენ გავაპროტესტეთ და სხვას არაფერს ვაპირებთ.

**— თქვენს პოზიციას ვინ იზიარებს საკრებულოში, ვინ გააპროტესტა სხვამ?**

– როგორც წესი, ბიუროს ესწრება ყველა პარტიის, ფრაქციისა და კომისიის თავმჯდომარე, ამ კონკრეტულ ბიუროს კი ესწრებოდა ყველა, თავი შეიკავა „ნაციონალურმა მოძრაობამ“, სხვა დანარჩენი, ყველა მხარს უჭერს ამ დანამატის შემოღებას.

**— დასაწყისში ამბობდნენ, რომ ხალხზე ორიენტირებული იქნებოდა საკრებულო, გამოდის, რომ საკუთარ კეთილდღეობაზე ორიენტირებული არიან...**

– იმედი, მაქვს ასეთი მოვლენების თავიდან ასაცილებლად შევიმუშავებთ კანონს, რომელიც დაარეგულირებს ამ სისტემას, დანამატები არ იქნება საჭირო და სახელფასო განაკვეთები იქნება სწორად განაწილებული. სანამ ნებისმიერი არჩევითი ორგანო შემოსავლის ზრდაზე დაიწყებს საუბარს, უნდა ჩანდეს, რას აკეთებს და უნდა ჩანდეს შედეგები, რომ ხალხმა გაიგოს, რატომ ხდება ამ ადამიანებისთვის ხელფასების მატება იმ სოციალურ ფონზე, რაც დღეს არსებობს.

**დიანა ლიპარტელიანი**
571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატები პარლამენტის წევრებს შორისაც სახელდებიან




საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის პოტენციური კანდიდატები პარლამენტის წევრებს შორისაც სახელდებიან. საუბარია თინა ხიდაშელისა და ეკა ბესელიას შესახებ.

ხიდაშელის კანდიდატურის შესაძლო დასახელებასთან დაკავშირებით ფრაქცია „ქართული ოცნება-რესპუბლიკელების“ თავმჯდომარე დავით ბერძენიშვილი აცხადებს, რომ აღნიშნულ თემაზე მათთან მოლაპარაკებას არავინ აწარმოებს. ბერძენიშვილი იმასაც ამბობს, რომ, „როგორც ფრაქციის თავმჯდომარე, ხიდაშელის არსად გამშვები არ არის“.

გარდა ამისა, არსებული ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ გარკვეულ ჯგუფში არსებობს სურვილი, რომ კოტე კუბლაშვილის შემცვლელი დეპუტატი ეკა ბესელია იყოს. პარლამენტში იმასაც ამბობენ, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის სურვილი თავად ბესელიასაც აქვს, თუმცა დეპუტატი აღნიშნულ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს და ირწმუნება, რომ საქმიანობის გაგრძელებას მხოლოდ პარლამენტში აპირებს.

„ჩემი კანდიდატურა არც განიხილება და არც ვფიქრობ აღნიშნულ საკითხზე. კანდიდატურების განხილვა არც უმრავლესობაში და არც ფრაქციაში არ დაწყებულა, თუმცა საკითხზე მსჯელობა უკვე მოგვიწევს. კონსულტაციები პრეზიდენტთან დაგვჭირდება, რაც ალბათ იანვრიდან დაიწყება. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოზიცია ძალიან სერიოზული თანამდებობაა“, – განაცხადა ბესელიამ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს პრეზიდენტის წარდგინებით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით პარლამენტი ირჩევს. უფლებამოსილების ათწლიანი ვადა კოტე კუბლაშვილს და მასთან ერთად უზენაესი სასამართლოს კიდევ ორ მოსამართლეს 2015 წლის თებერვალში ეწურებათ.

ერთ-ერთ კანდიდატურად ლადო ჭანტურიაც დასახელდა, რომელიც ამ დროისთვის გერმანიაში საქართველოს ელჩია. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## რუსული ავიაკომპანია საქართველოს საავიაციო ხელისუფლებას უპირისპირდება




რუსული ავიაკომპანია „ტრანსაერო“ საქართველოს საავიაციო ხელისუფლებას რუსეთსა და საქართველოს შორის გაფორმებული შეთანხმების დარღვევაში ადანაშაულებს.

„საქართველოს საავიაციო ხელისუფლების უარი, რომელიც ეხება თბილისი-მოსკოვის მიმართულებით ფრენების შესრულებაზე უარის თქმას, ორ ქვეყანას შორის მიღწეული შეთანხმების დარღვევაა. შეთანხმების თანახმად, უნდა გაუქმდეს ყველა შეზღუდვა, რომელიც აქამდე ფრენების რაოდენობასთან დაკავშირებით არსებობდა“, – ნათქვამია განცხადებაში.

მათი განმარტებით, რუსეთის ხელისუფლებამ კომპანიას მიანიჭა რეგულარული ავიაგადამზიდავის სტატუსი თბილისი-მოსკოვის რეისებზე. ასევე, მათი ინფორმაციით, „ტრანსაერომ“ მიიღო თბილისის საერთაშორისო აეროპორტისგან სლოტები, რომელზე დაყრდნობითაც შემუშავდა ფრენების განრიგი. რეისების შესრულება 21 დეკემბერს უნდა დაწყებულიყო, თუმცა საქართველოს საავიაციო ხელისუფლებამ მას პრობლემები შეუქმნა და ფრენების უფლება არ მისცა. კომპანიას უკვე გაყიდული ბილეთების თანხის მგზავრებისთვის უკან დაბრუნება მოუწევს. (ნიუპოსტი)

# რას მოუწოდებს ლუკა კურტანიძე თავის თანამებრძოლებს?



„ვფიქრობ, დღეს ჩემი ჩუმად ყოფნა არ იქნება მართალი. ამიტომაც, საქართველოს მტრებს, ვინმე სააკაშვილის ხელმძღვანელობით, საბოლოოდ უნდა აეკრძალოთ საქართველოზე საუბარიც კი. დამნაშავე ნაცრეჟიმი უნდა გასამართლდეს და დაისაჯოს სამაგალითოდ, რაც შეიძლება მალე. ე.წ. სააკაშვილს, სადაც ეძლევა საშუალება, საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებს, გვაპირისპირებს ამერიკას, ევროპას, მოძმე უკრაინას და ცრუ განცხადებებით აშკარა დაპირისპირებებისკენ მივყავართ. მართალ ადამიანებს მოთმინება ელევათ და სანამ თვითონ, სტიქიურად არ გამოუტანენ განაჩენს, ჯობია სამართლებრივად აღიკვეთოს ვინმე სააკაშვილის მიერ, საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მომართული ქმედებები. ვითომ სტკივა, ქართველი მეომრის დაღუპვა და ამ ტრაგედიასაც სათავისოდ იყენებს... გამოფხიზლდი, საქართველო! ნაცრეჟიმმა ძალა იგრძნო და ქმედებაზე გადასასვლელად ემზადება. „ქართული ოცნების“ მართალ წევრებს კი მოვუწოდებ, მართალი ერთგულება და მართალი თანადგომა ანახვეთ და აგრძნობინეთ ერთმანეთს საქმით. ნუ გაწირავთ თანამებრძოლს იმ იმიჯის შესაქმნელად, რომ ძალიან დემოკრატიულები ხართ და ესეც რომ თქვენი მონაპოვარია.

საქართველოს ყოველთვის სჭირდებოდა სამშობლოსთვის შეწირულნი და არა ბრძოლაში მყოფი თანამებრძოლების ასე ადვილად გამწირავნი! მართალი, უტეხი ერთობაა საჭირო და ხალხსაც რწმენა მიეცემა! ბიძინა ივანიშვილმა ეს გვითხრა, ბრძოლაში მყოფთ – იყავით მართალნი, გულწრფელნი და ერთგულნი ყველგან და ყველაფერში. ასე რომ, დროა, გაიხსენოთ გონიერი რჩევა. მტერი უკვე ყველგანაა!

**მართალი ერთობა აუცილებელია!“ — წერს ლუკა კურტანიძე „ფეისბუკზე“.**

**რა იგულისხმა ამ პოსტის მიღმა, ამასთან დაკავშირებით „ალია“ მას დაუკავშირდა.**

**— ბატონო ლუკა, ამბობთ, „ნაცმოძრაობა“ ახალ ქმედებებზე გადასასვლელად ემზადებაო. რა ინფორმაცია გაქვთ, რას აპირებენ?**

– სააკაშვილი გამოდის სხვადასხვა დონეზე და ყველგან ცდილობს ისიც, მისი აღგზნებული „მიშისტებიც“, რომ დღევანდელი ხელისუფლება ყველას თვალში ცუდად გამოჩნდეს. არ კარგავს დროს და ევროპის ტრიბუნიდან, სადაც მას ეძლევა საშუალება ლობისტების დახმარებით, აკეთებს საქართველოსთვის სახიფათო განცხადებებს. რეალობა შეიცვალა, უამრავი ინვესტიცია, რომელიც ჩვენკენ არის მომართული, ამ განცხადებების ფონზე ჩერდება და ეკონომიკა ვერ დგება ფეხზე. ფერხდება საქმეები, რომელიც ეკონომიკური და პოლიტიკური გაძლიერებისკენ არის მიმართული.

**— მერე რა უშლის ხელისუფლებას, რომ ინვესტორები საპირისპიროში დაარწმუნოს?**

– ხარვეზები, რა თქმა უნდა, იქნება, მაგრამ იმისთვის არის საზოგადოება, რომ ფეხი კი არ უნდა დაუდოს ხელისუფლებას, უნდა მიეხმაროს მას. ამაყად შემიძლია თქმა, რომ დღეს ხელისუფლება, განსხვავებით წინამორბედისგან, ადეკვატურია. ადამიანი, რომელიც თავისი პიარისთვის ყველაფერს იყენებდა, დღეს დაღუპული მეომრით იკეთებს ისევ პიარს. სააკაშვილის სტილი ესაა, დაღუპულის ოჯახითაც სარგებლობს. ჩვენთვის ყველა მეომრის დაღუპვა ტრაგედიაა, აფხაზეთში უამრავი უკრაინელი იბრძოდა, მაგრამ არ მახსოვს, რომ ოფიციალურ მთავრობას ეს ელიარებინა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უკრაინა და რუსეთი ერთი განუყოფელი ერია, რომელიც მოიხსენიებოდა „ძველ რუსეთად“. ჩვენ იარაღით კი არ უნდა ვიდგეთ, უნდა ვიყოთ მედიატორები.

**— „პოსტში“ თქვენ საუბრობთ სამართლიანობის აღდგენაზე. ეს ხელისუფლება თქვენი მოყვანილიც არის, რატომ არ აღდგა, ან როდის დადგება ეს პროცესი?**

– მე ვარ ისეთი ადამიანის თანამებრძოლი, რომ ეს პროცესი მოჩვენებითი არ იქნება და დღედაღამ მიდის ფიქრი სამართლიანობის აღდგენაზე. ამ ორი წლის განმავლობაში ადამიანებს მიეცათ საშუალება, გამოემჟღავნებინათ თავისი თავი. ივანიშვილმა ყველას მისცა საშუალება, ახალ რეალობაში ორიენტაცია აეღო. ბევრმა შეძლო სწორი პოზიციის შენარჩუნება, ზოგმა ვერ გაითავისა ეს რეალობა და ხელს უშლიან, მიდის საბოტაჟი, ფეხის დადებები, ეს ყველაფერი დასრულდება მალე. ეს ადამიანები ამოტივტივდნენ, ხელისგულზე ჩანან. ბოლო მოქმედებებია ჩასატარებელი, აღსაკვეთია იმ ადამიანების განცხადებები, რომლებმაც დიდი დანაშაული ჩაიდინეს, ისინი უნდა დაისაჯონ სამაგალითოდ და განეიტრალდნენ საზოგადოებისგან. იმ ადამიანებს, რომელთაც კიდევ აქვთ კითხვის ნიშანი, საითკენ გადავიხაროთ, მოვუსპობთ იმ წარმოდგენას, რომ მართალი გაერთიანება შეუძლებელია. საზოგადოების ყველა სფეროში გაერთიანებაა საჭიროა, ასეთი ერთობა სახელმწიფოს გამარჯვების საწინდარი იქნება.

**ჟანა ასანიძე**
558 00 16 16

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## „არ გყოფნით ამდენი კლოუნი? რას ერჩიან ამ გოგოს?!“ — რა ხდება პირველი ლედის გარშემო




საქართველოს პირველი ლედის ჟურნალში კიდევ ერთხელ გამოჩენას სოციალურ ქსელში სხვადასხვა გამოხმაურება მოჰყვა. მაკა ჩიჩუას ფოტო ამჯერად აზერბაიჯანული გამოცემის NARGIS-ის გარეკანს ამშვენებს.

„რას ერჩიან ამ გოგოს? ან თვითონ რას ერჩის თავს"? – ვკითხულობთ ინტერნეტსივრცეში. ხელოვანი ნინო მაღლაკელიძე კი „ფეისბუკის" პირად გვერდზე ამ სახის სტატუსს აქვეყნებს.

ნინო მაღლაკელიძე: „ხან რას აცმევენ და ხან რას ახურავენ, სულ ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ სასაცილოდ აგდებას ცდილობენ – თავად, „საზოგადოების მოთხოვნას“ ემორჩილება – რომელსაც კლოუნადის გარეშე სიცოცხლე არ შეუძლია და მაკას თავმდაბლობას კარგად იყენებს – შეუსაბამო ტანისამოსი, არაპროფესიონალური მაკიაჟი და ცრუ იმიჯის მქონე, დაკვეთილი ფოტო – რა ხელოვნურია ეს ყველაფერი და, შესაბამისად, შინაარსს მოკლებული, რატომ არ გყოფნით ამდენი კლოუნი???




***newposts.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ქეთა თოფურიას ახალი საქმიანობა — მომღერალი ტანსაცმლის საკუთარ ხაზს ქმნის



ქართველ მომღერალ ქეთა თოფურიას ჩაცმულობა რუსეთში ყოველთვის დიდ მოწონებას იმსახურებს. ცნობილია, რომ ქეთას ყოველთვის საკუთარი გემოვნებით შერჩეული სამოსი აცვია. ბოლო დროს ქეთამ გადაწყვიტა, საკუთარი მოდის ხაზი – ketione შეექმნა და პირველი ლუქბუქი უკვე წარმოადგინა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.



***reitingi.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ნინის, ქრისტინესა და თაკოს საახალწლოდ გადაღებული სექსუალური ფოტოსესია



უკვე რამდენჯერმე დავრწმუნდით იმაში, რომ ფოტოგრაფ ლევან (ლეკო) ჭყონიას გადასარევად ეხერხება ყველასთვის ცნობილი და პოპულარული გოგონებისთვის სექსუალური ფოტოების გადაღება.

გასულ ზაფხულს მის მიერ გადაღებულმა თაკო გაჩეჩილაძის ფოტოებმა სოციალურ ქსელში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

ზოგი ამბობდა, რომ თაკომ შიშველმა იპოზიორა. თავად თაკო კი ამტკიცებდა, რომ შიშველი არ ყოფილა. იმდენი კომენტარი კეთდებოდა მის ფოტოებთან დაკავშირებით, რომ თაკომ გადაწყვიტა, „ფეისბუკი" გაეუქმებინა, თუმცა, საბედნიეროდ, მოგვიანებით გადაიფიქრა.

წინასაახალწლოდ ლეკო ჭყონიამ სექსუალური ფოტოები თაკოსთან ერთად მის განუყრელ მეგობრებს, ქრისტინე იმედაძესა და ნინი ბადურაშვილს გადაუღო.

სოციალურ ქსელში სულ ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა მათი ფოტოები და უკვე უამრავი მოწონება აქვს.

***reitingi.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ივანა მელაი და გურამიკო ლომიძე დაინიშნენ



უკრაინელ მომღერალ ივანა მელაისა და „ქუჩის ბიჭების" წევრ გურამიკო ლომიძის სიყვარულის ამბავი დაახლოებით ერთი წლის წინათ გახდა ცნობილი. ბოლო დროს კი აქტიურად საუბრობენ იმის შესახებ, რომ ივანა და გურამიკო დაინიშნენ. ჯერჯერობით არც ერთი ამ ამბავს არ ადასტურებს, თუმცა კიკალა სტუდიაში ახალი ალბომის ფოტოსესიისთვის მისულ ივანას საქორწინო ბეჭედი ამშვენებდა.

მომღერლების მეგობრებიც პირად საუბრებში ამბობენ, რომ ივანა და გურამიკო ნამდვილად დანიშნულები არიან.

აშკარაა, მომავალ 2015 წელს გურამიკოსა და ივანას ცხოვრებაში საინტერესო სიახლე მოხდება და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართულ შოუბიზნესში კიდევ ერთ ლამაზ ქორწილს ვიხილავთ.

გურამიკო ამჯერად კვლავ ამერიკაშია, თუმცა ერთი კვირის წინ მომღერალმა საყვარელ გოგონას სიურპრიზი მოუწყო და მოულოდნელად რამდენიმე დღით თბილისში ჩამოვიდა.

წყვილს არ აქვს დაგეგმილი, სად გაატარებენ ახალ წელს. თუმცა ივანას თქმით, გურამიკო მას ყოველთვის სიურპრიზებით ანებივრებს და არაა გამორიცხული, რომ დამდეგ ახალ წელსაც გურამიკომ ივანას დაუვიწყარი საჩუქარი გაუკეთოს.

***reitingi.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## „მითხრეს, რომ ჩემი შვილი უმძიმეს მდგომარეობაშია რესპუბლიკურში“! — ლალი მოროშკინა



ჟურნალისტი ლალი მოროშკინა სოციალურ ქსელში წერს, რომ საქველმოქმედო ღონისძიების მომდინარეობისას შეატყობინეს, რომ მისი ვაჟი, სანდრო საავადმყოფოში მოათავსეს.

„SOS!!! გაუგონარი ამბავი!!! სიტყვებიც კი არ მყოფნის, რა დავარქვა!!! მე ღონისძიება მქონდა „თბილისი მოლში“, როცა ამ ნომრიდან 598281516 დამირეკეს და მითხრეს, რომ ჩემი შვილი სანდრო უმძიმეს მდგომარეობაშია რესპუბლიკურში!!! წარმოგიდგენიათ, რა მომივიდოდა? მე ასეთი სიტუაცია სანდროსთან მიმართებაში გადატანილი მაქვს და მაშინ ჩემი შვილი სიკვდილს გამოვგლიჯეთ!!! დღეს ვინ ბედავს ასეთ ტყუილს!!!! მშობლები გამიგებენ, რა არის ის გრძნობა, როცა შვილის ყოფნა-არყოფნაზეა საუბარი! ვის დასჭირდა ასეთი ბოროტი ხუმრობა????? როდესაც რესპუბლიკურში მივირბინე და აღმოვაჩინე, რომ მომატყუეს, გონს მოვეგე და გადავრეკე ამ ნომერზე.

და იცით, რა მიპასუხეს????

– ასე ბევრს გავუკეთეთო!!!

ეს დანაშაულია და ამის მომგონი და შემოქმედი უნდა დაისაჯოს!!!

მაპატიეთ, მაგრამ ძალიან გავნერვიულდი..." – წერს ლალი მოროშკინა.

***newposts.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ნიკა თავაძე: „ჩინეთის პოლიციაში თუ მოვხვდებოდი, ნამდვილად არ მეგონა...“

„ქართული საკონსულოს დედებს კი დიდი მოკითხვა", – წერს „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე მსახიობი ნიკა თავაძე. როგორც ირკვევა, ჩინეთში, გასტროლებზე მყოფი მსახიობი პოლიციაში აღმოჩნდა.




– ჩინეთის პოლიციაში თუ მოვხვდებოდი, ნამდვილად არ მეგონა..) ჩანთა ყველა საბუთით ამიორთქლეს მაღაზიიდან..) ხვალ, წესით, მოვფრინავდი და ნახევარი დღე პოლიციაში გავატარე..) ენა, ჩინურის გარდა თითქმის არავინ იცის. ჩვენი საკონსულო, მაგათ ვენაცვალე, საყვარლები..)) პირველი, რასაც გეუბნება, ამ დროს 35$-იან ქვითარს სანამ არ მოგვიტანთ, ვერ დაგეხმარებითო და რომ ვუხსნი, ყველაფერი მომპარეს-მეთქი, – მიბრძანდით რუსთაველისნაირ ქუჩაზე, ჩინეთის ნაციონალური ბანკია და იქ აიღეთ ქვითარიო...))))))) პასპორტს ისე ვერ გავცემთ, კანონში ასე სწერია და რა ვქნათო...))) რომელია პეკინში რუსთაველისნაირი ქუჩა მე არ ვიცი..))) მაგრამ, ალბათ, იმან იცის, კაცი კონსულია და... თან ტონი აქვს ისეთი, შეგიყვარდება:). მოკლედ, ისევ ჩინეთის პოლიციამ ივარგა და ჩანთა პასპორტით იპოვეს. ასე რომ, მადლობა ჩინეთის პოლიციას.. ქართული საკონსულოს დედებს კი დიდი მოკითხვა.

***newposts.ge***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

## ვარჯიში კუნთებს სულაც არ ამაგრებს



ნამდვილად არ არის გასაკვირი, როცა თანამედროვე ადამიანების უდიდესი ნაწილი ყველანაირად ცდილობს, სხეულის სილამაზე შეინარჩუნოს. სწორედ ამიტომ არის ფიტნეს კლუბები პოპულარული, მაგრამ ვარჯიშის მოყვარულებს, სამწუხაროდ, იმედი უნდა გავუცრუოთ. როგორც ირკვევა, მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მოდუნებული კუნთების გაძლიერებისთვის ვარჯიშით ვერაფერს გავხდებით.

ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასეთი მოსაზრება აქვს პროფესორ ჯეიმს ტიმონსს, რომელიც ამტკიცებს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, კუნთები ფორმასა და ტონუსს მაინც კარგავენ.

– ყოველდღიური ვარჯიშიც კი მათ დაბერებას ვერ შეაჩერებს, – მიიჩნევს ტიმონსი.

კვლევის ფარგლებში განსაკუთრებული ქიმიური მარკერები გამოვლინდა, რომლებიც პასუხს კუნთოვანი ქსოვილების დაბერებაზე აგებენ. ამ მარკერების ანალიზმა აჩვენა, რომ ფიზიკურ აქტიურობას კუნთების მაჩვენებლების გაუმჯობესება უბრალოდ, არ შეუძლია. უფრო რომ დავაზუსტოთ, ფიტნესმა მოხალისეთა 25 პროცენტზე საერთოდ ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა.

ამით უსიამოვნებები როდი სრულდება. სპეციალისტებმა ისიც აღმოაჩინეს, რომ დატვირთვა კუნთების დაბერების პროცესს კიდევ უფრო აჩქარებს. ასევე, მაღლა წევს წნევას და ჩნდება დიაბეტის გაჩენის რისკებიც.

***myjane.ru***

## თავშესაქცევი ზოოლოგია



– სპილოებს ახტომა არ შეუძლიათ.

– სამხრეთ ამერიკული პარადოქსული ბაყაყის თავკომბალები დედაზე დიდი ზომისანი არიან.

– პატარა კოალებს ხველის საწინააღმდეგო მედიკამენტების სუნი ასდით.

– ლოსს შეუძლია იგრძნოს, როგორ აჯდება ბუზი რქებზე.

– ძროხა შეიძლება განაწყენდეს, თუკი ადამიანები მასზე იცინიან.

– ნამგალები (მერცხლის მსგავსი ფრინველები) ფრენის პროცესში... გამოძინებას ახერხებენ. გარდა ამისა, სწორედ ფრენის დროს ახერხებენ ისინი გამოკვებას, წყურვილის მოკვლას, შეჯვარებას, ბუდისთვის მასალის მოგროვებას და ასე შემდეგ. აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ ნამგალები ძალიან სწრაფად ფრენენ. კერძოდ, 200 კილომეტრ/საათის სიჩქარის განვითარებაც კი შეუძლიათ.

– გახარებული ძაღლი კუდს მარჯვენა მხარეზე წევს და ისე აქიცინებს, ხოლო როცა გაღიზიანებულია, კუდი მარცხენა მხარეს აქვს მიმართული.

– თუკი შეძლებთ და ზვიგენს ზურგზე გადაატრიალებთ, ის მაშინვე ტრანსში ჩავარდება.



– მეცნიერებმა, რომლებმაც იხვნისკარტა პირველად აღმოაჩინეს, ცხოველს ჩააფრინდნენ და ცდილობდნენ, „წამონაზარდი" აეგლიჯათ.

– ჩოქელას (უფრო ცნობილია, როგორც ბოგომოლი) ყურები ფეხებს შორის აქვს.

– რვაფეხებს ცისფერი სისხლი აქვთ.

***mainfun.ru***

## ჰერპესი უარყოფითად მოქმედებს აზროვნებასა და მეხსიერებაზე



ეს უსიამოვნება არა მხოლოდ გარეგნულად უქმნის ადამიანს პრობლემებს, არამედ უფრო სერიოზული შედეგებიც შეიძლება მოჰყვეს.

კოლუმბიის უნივერსიტეტის სპეციალისტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ჰერპესის ვირუსი უარყოფითად მოქმედებს მეხსიერებაზე და ზოგადად, აზროვნების უნარზე.

რამდენადაც ცნობილია, ჰერპესი შეიძლება გამოიწვიოს არა მხოლოდ გაციებამ, არამედ ჰორმონალურმა დარღვევებმა და სტრესმა, რომელიც ჩვენს ცხოვრებაში საკმაოზე მეტია.

ექსპერიმენტებმა ცხადყო, რომ ადამიანები, რომელთა სისხლში ვირუსის დონე მაღალია, არცთუ სახარბიელო შედეგებს აღწევენ ინტელექტუალური ტესტების შევსებისას. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ინფექცია აზროვნებაზე ნეგატიურად აისახება.

***dr20.ru***

## თევზი, რომელსაც ხეზე ცოცვა შეუძლია



როცა ოსტატი კეთილსინდისიერია, მოწაფე კი მონდომებული, პირველი მეორეს ხეზე ცოცვას აუცილებლად ასწავლის. ამ შემთხვევაში ოსტატი დედა ბუნებაა, ხოლო მოწაფე – თევზი...

2 საუკუნის წინათ უძველეს ავტორთა ნაშრომების შესწავლისას, მეცნიერებმა ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს ჩანაწერებს მიაკვლიეს, სადაც საუბარი იყო თევზზე, რომელიც ხმელეთზე ბინადრობს. ბუნებრივია, სერიოზულად ეს ამბავი არავის მიუღია და ჩათვალეს, რომ მორიგ მითთან ჰქონდათ საქმე. სულ მალე მეცნიერებმა ანალოგიური ფაქტი ახლა უკვე არისტოტელეს ნაშრომებში ამოიკითხეს. ამან მკვლევარები სერიოზულად დააფიქრა და ზოოლოგებთან კონსულტაციების გავლაც გადაწყდა, თუმცა უშედეგოდ – მათაც ჩათვალეს, რომ, უბრალოდ, ლეგენდასთან უფრო ჰქონდათ საქმე, ვიდრე რეალობასთან.

გავიდა დრო და მეცნიერებმა ახლა თეოფრასტის ჩანაწერებში ამოიკითხეს იგივე ამბავი, თანაც მას თევზზე მომზადებული ჰქონდა არა მცირე ჩანაწერი, არამედ მთელი ტრაქტატი. კერძოდ, თეოფრასტის წიგნში „თევზების შესახებ, რომლებიც ხმელეთზე ცხოვრობენ", საუბარი იყო, რომ ინდოეთში ბინადრობენ თევზები, რომლებიც ტოვებენ მდინარეებს, დახოხავენ ხმელეთზე, სუნთქავენ ჰაერს, შემდეგ კი ისევ წყალში ბრუნდებიან...

მოკლედ, გავიდა კიდევ დიდი დრო და როგორც იქნა, მეცნიერებმა ამ მართლაც ძალიან უჩვეულო არსების პოვნა შეძლეს. აღმოჩნდა, რომ თევზი ხმელეთზე მართლაც ამოდიოდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ჰობი ჰქონდა ასეთი, არამედ აუცილებლობის გამო.

თევზს სახელად ანაბასი დაარქვეს, ანუ მცოცავი თევზი და დაადგინეს, რომ ჩვეულებრივ ის თბილ წყალსაცავებში ბინადრობს. გვალვის დროს, როცა ტბები შრება, თევზების უმეტესობა იხოცება, მაგრამ არა ანაბისი. ის ტოვებს ძველ ტერიტორიას და ახლის ძიებას იწყებს. მეცნიერების თქმით, ჩვეულებრივ ანაბისი წყალს გამთენიისას ტოვებს, როცა ბალახი დაცვარულია. თუკი გარკვეული დროის მანძილზე მან წყალს ვერ მიაგნო, რა თქმა უნდა, კვდება, მაგრამ სხვა თევზებისგან ეს უნიკალური უნარი მას მართლაც გამოარჩევს.

***aquafanat.com.ua***

## ყოველ მე-20 ქალს ანორექსია ემუქრება?!



ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად ჩნდება ცნობები ანორექსიის საგანგაშო სტატისტიკის შესახებ. სამწუხაროდ, ფიქსირდება ფატალური შედეგებიც.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მედიკოსები განგაშს ტეხენ – ისინი ამტკიცებენ, რომ ანორექსია სულ უფრო და უფრო მასშტაბური ხდება და დაავადების საშიშ ნიშნებსაც აღწერენ.

ჰარვარდელი სპეციალისტების თქმით, ანორექსიას მოასწავებს ისეთი ნიშნები, როგორიცაა, მაგალითად, დეტოქსიკაცია, სხეულის წონის მუდმივი ცვლილებები, ასევე, საკუთარი ფიგურით უკმაყოფილება, ღრმუცელობის შეტევები.

სამწუხაროდ, ეს მდგომარეობები ხშირად შეუმჩნეველი რჩება, არადა, ძალიან სახიფათოა და ფართოდ გავრცელებული.

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ფსიქიატრის გარეშე პრობლემის მოგვარება ძალიან რთული იქნება.

იმ შემთხვევაში, როცა ადამიანი მუდმივად ითვლის კალორიებს, ჩაციკლულია ფიგურისთვის სხვადასხვა პროდუქტის მავნებლობის შესახებ საუბარზე, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის საკუთარ გარეგნობაზე ფიქრობს – ასეთი ადამიანი მკურნალობას საჭიროებს.

***myjane.ru***

## იაპონელებმა მრავალჯერადი წებო გამოიგონეს




მრავალჯერადი წებოს საფუძვლად ორგანული ნივთიერებებია გამოყენებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი თვისებების შეცვლა გაცხელება-გაციების გარეშე მხოლოდ სინათლის დახმარებითაა შესაძლებელი.

მყარ მდგომარეობაში მასალას ყვითელი ფერი აქვს, თუმცა თუკი მას ულტრაიისფერ სინათლეს მიუშვერთ, თხევადი და სტაფილოსფერი გახდება. წებოზე მწვანე შუქით ზემოქმედებისას ის კვლავ მყარ ნივთიერებად გადაიქცევა.

წებოს გამყარების დრო მასზე დაცემული სინათლის რაოდენობაზეა დამოკიდებული. მაგალითად, საშუალო სიმძლავრის ულტრაიისფერი წყარო მას 3 წუთში ამყარებს, ხოლო მწვანე ფერის სინათლის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 1-2 წუთამდე მცირდება.

ჯერჯერობით წებო არც ისე მტკიცეა, როგორც საჭიროა, რაც მისი გამომგონებლების თქმით, უახლოეს მომავალში გამოსწორდება.

***billionnews.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



– რატომ არ შეიძლება ჩერნობილში სოკოს მოგროვება?

– გარბიან და იმიტომ!..

*****

შუაღამე. საუნაში მთელი დღის მუშაობით გადაღლილი ბიზნესმენები ერთობიან. ერთ-ერთს ცოლი ურეკავს:

– ძვირფასო, სად ხარ?

– აუ, რა ვიცი, საცობში ვარ გაჭედილი უკვე ერთი საათია!

– მართლა? აბა, მიდი, დაასიგნალე...

*****

კარგა ხნის უნახავი დაქალები ერთმანეთს შემთხვევით შეხვდნენ:

– უი, საყვარელო, როგორ გასუქებულხარ!

– პირიქით, ახლა გამხდარი ვარ! უნდა გენახე, ერთი თვის წინ რას ვგავდი – ზუსტად შენნაირი ვიყავი!!!

*****



– წიგნი წავიკითხე სიგარეტის მავნებლობაზე... მერე ალკოჰოლის მავნე ზემოქმედებაზეც... ჰოდა, შევეშვი ეგრევე!

– რას, მოწევას და სმას?

– ყოველგვარი სისულელის კითხვას!..

*****

ორი ხანშიშესული ქალი, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე მეგობრობდნენ, ტრადიციულად, კვლავ შეხვდა ერთმანეთს, ბანქო რომ ეთამაშა.

ერთი მეორეს:

– მომისმინე, ოღონდ ღვთის მადლით, არ გამინაწყენდე... ვიცი, რომ ბევრი წელია, ვმეგობრობთ... მაგრამ შენს სახელს კი ვერაფრით ვიხსენებ და მომკალი, თუ გინდა! გამახსენე, თუ ქალი ხარ, რა გქვია?..

მეორე დაფიქრდა, რამდენიმე წუთი ხმა არ ამოუღია, ბოლოს კი, როგორც იქნა, სიჩუმე დაარღვია:

– ახლავე გინდა?

*****

– მამიკო, აბა, თუ გამოიცნობ, რომელი მატარებელი აგვიანებს ყველაზე მეტხანს?

– არ ვიცი, შვილო, რომელი?

– აი, ის, რომლის ჩუქებასაც გასულ ახალ წელს დამპირდი!

*****

ცოლი ქმარს:

– ძვირფასო, შენი სამალავი ვიპოვე და რაც ფული გქონდა, სულ დაქალებში დავხარჯე...

– ეგ არაფერი, საყვარელო – მაგ ფულს შენი ქურქის საყიდლად ვაგროვებდი...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*



1.ლადო ასათიანი. „კრწანისის ...“
2. სასულე ინსტრუმენტი
3. გულიანი კანფეტი
4.„ევგენი ონეგინი“ ავტორი
5.მერი შელის ზომბი
6.ლატვიელი პოეტი იან ...
7. მწერალი ონორე დე ...
8. ქალაქი აფხაზეთში
9. კაკლის გულის ნახევარი
10.ეგზოტიკური საჭმელების მოყვარული
11. მოხეტიალე ცირკი
12. რძის პროდუქტი
13.ესპანელი მხატვარი
14. სოფელი დუშეთის რაიონში
15.„... კაცი ვარ ეგრე რატომ მიყურებთ“
16.გასეირნება ქალაქგარეთ
17. მინიბოულინგი
18. ამერიკელი კინორეჟისორი ძმები იტან და ჯოელ ...
19.ბათუ კრავეიშვილის კინოროლი
20. კუნძული იტალიაში
21.ბუნებრივი ლურჯი საღებავი
22.თოკებით ქსოვის ხელოვნება
23. კუნძული პოლინეზიაში
24. მსახიობი ჟან ...
25.„ბულბულის ..., შაშვის გალობა“
26. სამკურნალო მცენარე
27.ორენოვანი ტექსტი
28. წარწერა საფლავის ქვაზე
29. მსახიობი ... კლოუზი
30.ენათმეცნიერი ვახუშტი ...
31. „... და ქილა ერბო“
32. მუდმივი ძრავა, ანუ ...
33.მხ/ფ „ჩვენი“ ...
34.ჭრიჭინას მამა (მსახიობი)
35. წყლის შინაური ფრინველი
36.მიქელანჯელო. „დატირება“
37. მსახიობი ... სუეიზი
38. გამრავლების ცხრილი
39. ... ერთობაშია
40. მწერლები ... და პეტროვი
41.ოპტიმისტის საპირისპირო
42. რძის პროდუქტი
43.მეცნიერება ადამიანის აგებულებაზე
44.სატრფიალო პოეზიის მუზა
45. აბელის მკვლელი (ბიბლ.)
46. ჯუჯა ჟირაფი
47. ქალაქი ტროა, იგივე ...
48. სოფელი სიღნაღის რაიონში
49.ურემი ... გაბრუნდება
50. ფრინველის სამყვდევი
51.საჭმელების მომზადების ხელოვნება
52. მოსამართლის მოსასხამი
53.ჯენიფერ ლოპესი, იგივე ... ლო
54. მდინარე აფრიკაში
55.მომღერალი ... ვაიკულე
56.უშნო, ანუ ჯოჯოხეთის ...
57. ხაჩატურიანის ბალეტი
58.კუროტი მაგნიტური ქვიშით
59.ტაილანდის ძველი სახელწოდება
60.ისტორიიდან: დავით ...
61. სოუსი სალათისათვის
62.მხ/ფ „როცა აყვავდა ...“
63. ნიშნავს ჩირქოვანს
64. მწერალი ჟიულ ...
65.მხ/ფ „ამბავი ... კოტორაშვილისა“
66.რას ხელმძღვანელობს დირიჟორი
67. მწვანე მინერალი
68.ერთი მომღერლის არია
69. შერლოკ ჰოლმსის კონკურენტი სკოტლენდ-იარდში
70. ... გაგარინი
71. მსახიობი ფრენკ ...
72. მწერალი არტურ კონან ...
73.მოწონების შეძახილი შრომაში
74. მსახიობი ... ანჯაფარიძე
75.დროის მონაკვეთი, ერთი წამი
76.რეჟისორი ჯეიმს ...
77. მონღოლი დიდებული
78. მტრის ზურგში მებრძოლი
79. ნაჭრის მრგვალი ქუდი
80.ალიგატორის სახეობა
81.რუსულ. ესტრადის მსახიობი ვლადიმერ ...
82. სიუხვის სიმბოლო
83. ყაიმი
84.ესპანეთის დედაქალაქი
85.მისი დედაქალაქია ვარშავა
86. ტბა პერუში
87. მსახიობი გრეტა ...
88.მან ააგო კიდობანი
89. მოკლე პალტო
90. სამშენებლო მასალა
91.ბევრ ზეთში შემწვარი კარტოფილი
92. ქრისტეს გამყიდველი მოწაფე
93. გემის მზარეული
94.მხ/ფ „... ჰამილტონი“
95. ჭრიჭინას ბებია (ფილმიდან)
96. საწარმოს ხელმძღვანელი
97. პერგამენტი, ანუ ...
98. მსახიობი ... რივზი
99. ქალის პატარა ხელჩანთა
100.მხ/ფ „... მოვიპაროთ მილიონი“
101. ქალაქი ლიტვაში
102. რკინის ჭიშკარი
103. ციხესიმაგრე თბილისში
104.რა მაგრდება მყესით ძვალზე
105. პოპკორნი, ანუ ...
106. მწერალი ... ფოიხტვანგერი
107. ფარაონის სამარხი
108. დიდი ქვა
109. ქიმიური ელემენტი
110.ორელექტროდიანი მილაკი
111.სახელმწიფო ჩრდ. ამერიკაში
112.ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი
113. მსახიობი ... ჰილტონი
114. სამშენებლო მასალა
115.დრამატურგი ედუარდო დე ...
116. შეხვედრა, ანუ ...
117. „მეხუთე ელემენტი“ იოვოვიჩი
118.მევიოლინე ... ისაკაძე
119. ავტოსაგზაო შემთხვევა
120. ჰაერსაწინააღმდეგ. საბრძოლო სისტემა
121. სიო
122. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
123. მეწარმე ... ხუციშვილი
124. ოპერა „... გიუნტი“
125. ... პუგაჩოვა
126. ყვავილი
127. გამხმარი ხილი
128. სახელმწ. სამხ. ამერიკაში
129. შესახედაობა
130. ... შრომა, მერე ხტომა
131. იანის საპირისპირო
132. მწვადის შესაწვავი ლუმელი
133. ციმბირის ხელული, ანუ ...
134. მსახიობი ... ბესინჯერი
135.სოფოკლეს ტრაგედია
136. სტადიონი ერევანში
137. დღე ხვალის შემდეგ
138. თვითნასწავლი მხატვრობა
139. მსახიობი ვივიენ ...
140.ძვ. ქართ. სიგრძის ერთეული
141.რეჟისორი ... რიჩი
142.ფილმი ველურ დასავლეთზე (ჟანრი)
143. „მატრიცა“ კერი-ენ მოსი
144. ქმრის და

პასუხები:1. ყაყაჩოები: 2. კლარნეტი; 3. კარამელი; 4. პუშკინი; 5. ფრანკენშტეინი; 6. რაინისი; 7. ბალზაკი; 8. გალი; 9. ლებანი; 10. გურმანი; 11. შაპიტო; 12. ნადუღი; 13. გოია; 14. ჩარგალი; 15. მეც; 16. პიკნიკი; 17. კეგლი; 18. კოენები; 19. ლაზარია; 20. სიცილია; 21. ინდიგო; 22. მაკრამე; 23. ტაიტი; 24. მარე; 25. სტვენა; 26. ღვია; 27. ბილინგვა; 28. ეპიტაფია; 29. გლენ; 30. კოტეტიშვილი; 31. გლახაკი; 32. პერპეტუუმ-მობილე; 33. ეზო; 34. ომიაძე; 35. იხვი; 36. „პიეტა“; 37. პატრიკ; 38. ტაბულა; 39. ძალა; 40. ილფი; 41. პესიმისტი; 42. ხაჭო; 43. ანატომია; 44. ერატო; 45. კაენი; 46. ოკაპი; 47. ილიონი; 48. ტიბაანი; 49. რომ; 50. გალია; 51. კულინარია; 52. მანტია; 53. ჯეი; 54. ნილოსი; 55. ლაიმა; 56. მაშხალა; 57. „გაიანე“; 58. ურეკი; 59. სიამი; 60. ულუ; 61. მაიონეზი; 62. ნუში; 63. პიო; 64. ვერნი; 65. ივანე; 66. ორკესტრი; 67. მალაქიტი; 68. სოლო; 69. ლესტრეიდი; 70. იური; 71. სინატრა; 72. დოილი; 73. ბარაქალა; 74. ვერიკო; 75. მომენტი; 76. კამერონი; 77. ნოინი; 78. პარტიზანი; 79. ბერეტი; 80. კაიმანი; 81. ვინოკური; 82. რქა; 83. ფრე; 84. მადრიდი; 85. პოლონეთი; 86. ტიტიკაკა; 87. გარბო; 88. ნოე; 89. მანტო; 90. ებონიტი; 91. ფრი; 92. იუდა; 93. კოკი; 94; ლედი; 95. ელპიტე; 96. დირექტორი; 97. ეტრატი; 98. კიანუ; 99. რედიკიული; 100. როგორ; 101. კლაიპედა; 102. ალაყაფი; 103. ნარიყალა; 104. კუნთი; 105. ბატიბუტი; 106. ლიონ; 107. პირამიდა; 108. ლოდი; 109. იოდი; 110. დიოდი; 111. კანადა; 112. დიოგენე; 113. პერის; 114. კირი; 115. ფილიპო; 116. რანდევუ; 117. ლილუ; 118. ლიანა; 119. ავარია; 120. სტინგერი; 121. ნიავი; 122. სარდინია; 123. გიო; 124. პერ; 125. ალა; 126. ვარდი; 127. ჩირი; 128. ჩილე; 129. იერი; 130. ჯერ; 131. ინი; 132. მაყალი; 133. ჯილეხი; 134. კიმ; 135. „ფედრა“; 136. „რაზდანი“; 137. ზეგ; 138. ნაივი; 139. ლი; 140. ადლი; 141. გაი; 142. ვესტერნი; 143. ტრინიტი; 144. მული. იკითხება: კილიმანჯარო.



1. მისი დედაქალაქია სოფია
2. მწერალი ... ჩუკოვსკი
3. ქრისტიანთა წმინდა თასი
4. ... იქა, ლიმი აქა
5. მსახიობი მილა ...
6. რიცხვი ექვსი ნულით
7. მეცნიერ. ილები შაქარს
8. რეჟისორი ელდარ ...
9. ყვავილი
10. კომპოზიტორი ანტონიო ...
11. „... ჭკუისაგან"
12. ბოჭონა ჰიუგოს მოთხრობაში
13. აღორძინების ეპოქა
14. კაკაოიანი კანფეტი
15. მსახიობი არკადი ...
16. კატასტროფა, განადგურება
17. მსახიობი იური ...
18. ყურის ანთება
19. ნანული სარაჯიშვილი ფილმში
20. პოპკორნი
21. ... შედგა მწყერი ნესა
22. ქართ. საესტრადო ანსამბლი
23. მოდელი ... კემპბელი
24. მსახ. დუეინ ... ჯონსონი
25. თალი
26. იუმორისტი ... არაბიძე
27. პოეტი ... ახმატოვა
28. ყვავილი
29. კავშირი, გაერთიანება
30. ქვიშა
31. გამის ნოტი
32. დუმბაძე. „თეთრი ..."
33. ყაჩაღი (კუთხ.)
34. ვენესუელას დედაქალაქი
35. იაპონური არაყი
36. „დიდოსტატის მარჯვენის" შორენას მოახლე ქალი
37. მისი დედაქალაქია ოტავა
38. მისი დედაქალაქია ედინბურგი
39. შიიზმის მიმდევარი
40. ... ცოცხი კარგად გვის
41. ქალაქი უკრაინაში
43. მ/ფ „101 ..."
44. რუსლან მიქაბერიძე ფილმში „დათა თუთაშხია"
45. მ/ფ „... გოლუა"
46. ხარკვი, რომელსაც ოჯახს მოპყრობაში
47. მსახ. ... სილვერსტოუნი
47. ბრიტანელი მოდელი
48. ფანდი ჭიდაობაში
49. „ნატვრის ხე" თაყაიშვილი
50. მსახიობი ... ტაილერი
51. მსახიობი მარინა ...
52. მცენარე, რომლის ფესვს ადამიანის ფორმა აქვს
53. ნახ. კუნძული იტალია
54. რადიოლოკატორი
55. ტომ სოიერი და ... ფინი
56. ნაწარმოების შესავალი ნაწილი
57. მიმართვა ქალისადმი იაპონიაში
58. კრიქეტის ეპიდემიის დროს
59. მოხარშული ხილის დესერტი
60. „მე ... ქართველი ვარ"
61. ქალაქი ბელგიაში
62. დასავლური საკრავი
63. ჰიპოპოტამი
64. მ/ფ „ივანე ... ამბავი"
65. მგალობელი ფრინველი
66. სოფელი ახმეტის რაიონში
67. მისი დედაქალაქია რეიკიავიკი
68. პატარა ფლეიტა
69. ტყის მასივი ციმბირში
70. მდინარე კახეთში
71. გრძელი კბილი
72. მხარე იმერეთში
73. მოგებული პარტია ნარდში
74. ილია ჭავჭავაძის ლექსი
75. მსახიობი ვასო ...
76. პოლონელი კომპოზიტორი
77. პოეტი იოსებ ...
78. მუზის ნაყოფი
79. ერთ-ერთი თითი
80. დახვეული ნამცხვარი
81. შვედეთის დედაქალაქი
82. მხატვარი ... გრეკო
83. მსახიობი ... ბარდო
84. ... პუგაჩოვა
85. მწერალი ... ბრედბერი
86. მწნილი
87. ინგლისური ლუდი
88. მსახიობი ... აფლეკი
89. გამჭოლი ქარი
90. ... ცეცხლს შუა
91. ჩინური მსუბუქი გემი
92. ტბა აშშ-ში
93. თბილი დინება ატლანტის ოკეანეში
94. მისი დედაქალაქია ლისაბონი
95. მსახიობი რიჩარდ ...
96. ბუდისტი მასწავლებელი
97. მსახიობი თუნგი ...
98. რეჟისორი ... ვან სენტი
99. უძველესი ქართული დედაქალაქი
100. უნგრელი კომპოზიტორი
101. ფრთოსანი ცხენი
102. მსახიობი ბენ ...
103. ხის მოჭრილი ტანი
104. იაპონური ავტომობილი
105. რევოლუციური მუშათა კლასი
106. მწერალი ... ბრაუნი
107. მომღერალი ... ჯონი
108. პირველი საწყისი რიცხვი
109. რაგბიში დადებული გოლი
110. ჰემინგუეი. „მშვიდობით, ..."
111. ანწლი
112. შავმანი თევზი იაპონურ კულინარ.
113. შუმერული ეპოსის გმირი
114. მწვანილების მუჯარა
115. მსახიობი ლაიზა ...
116. მოდელი კლაუდია ...
117. გერდას მეგობარი ბიჭუნა
118. მოჭადრაკე ქეთევან ...
119. ჭამის სურვილი
120. ერთგვარი ოთხ-თვალა
121. მზის ამოსვლა
122. სოლომონის ქალაქი
123. ... ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო
124. მტაცებელი ფრინველი
125. თეფში
126. ზეთში შემწვარი კარტოფილი
127. მაგიოლო კარლოს ინსტრუმენტი
128. შოლოხოვი. „... წყნარი ..."
129. ძვ. თბილისური მიმართვა
130. მევიოლინე ვანესა ...
131. მონღოლი დიდი ლიდერი
132. ... გათეთრდების ყორანი
133. ქიმიური ჭურჭელი
134. მუხის ქერქი
135. მსახიობი ... გიბსონი
136. ესპანელი მხატვარი
137. იანის საპირისპირო
138. აზროვნების ორგანო

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


# განცხადება

2015 წლის 17 თებერვალს, 13 საათზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქ. გარდაბანი; დ. აღმაშენებლის ქ. №73), გაიმართება შპს „ჩირინას“ დაქვემდებარების საწარმოო ობიექტის — **ბიოლოგიური (ცხოველური) ნარჩენების თერმული გაუვნებელყოფის საამქროს (ინსინირატორი)** გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს მეფრინველეობის ფერმასა და ფრინველების სასაკლაოზე წარმოქმნილი ბიოლოგიური ნარჩენების **გაუვნებელყოფა ინსინირატორში დაწვით.**

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

**– ქ. თბილისი, გუდიაშვილის ქუჩა №9 (კომპანიის ოფისში)**

**– გარდაბნის რაიონი, სოფ. სართიჭალა (საწარმოს ტერიტორია)**

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საკონტაქტო პირი: მიხეილ ლომიძე 599 57-24-20.

ადმინისტრაცია, **შპს „ჩირინა“**

# განცხადება

2015 წლის 17 თებერვალს, 14 საათზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქ. გარდაბანი; დ. აღმაშენებლის ქ. №73), გაიმართება შპს „ჩირინას“ დაქვემდებარების საწარმოო ობიექტის — **ბიოლოგიური (ცხოველური) ნარჩენების თერმული გაუვნებელყოფის საამქროს (ინსინირატორი)** გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს მეფრინველეობის ფერმასა და ფრინველების სასაკლაოზე წარმოქმნილი ბიოლოგიური ნარჩენების **გაუვნებელყოფა ინსინირატორში დაწვით.**

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

**– ქ. თბილისი, გუდიაშვილის ქუჩა №9 (კომპანიის ოფისში)**

**– გარდაბნის რაიონი, მარტყოფი, სოფ. სააკაძე (საწარმოს ტერიტორია)**

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საკონტაქტო პირი: მიხეილ ლომიძე 599 57-24-20.

ადმინისტრაცია, **შპს „ჩირინა“**

## შექმნილია კოქტეილი, რომელსაც საკვების შეცვლა შეუძლია



თუ ჭამაა, კაცო, ჭამა უნდა იყოს და ბარემ გემრიელად უნდა მიირთვა. აბა, რას გვიქვია კოქტეილი, რომელიც საკვებს შეცვლის?

ფაქტია, ჩვენსავით სულაც არ ფიქრობენ ამერიკელი მეცნიერები, რომელთაც განსაკუთრებული კოქტეილის რეცეპტს მიაგნეს და როგორც ამბობენ, იგი საკვებს თავისუფლად შეცვლის სრული 100 პროცენტით. კოქტეილში შესულია ყველა ნივთიერება, რომელიც სრულფასოვანი ცხოვრებისთვის და წონის შენარჩუნებისთვისაა აუცილებელი.

სიახლის ავტორები ამბობენ, რომ სულაც არ არის საჭირო კერძების მომზადებისთვის სამზარეულოში საათობით ფუსფუსი და უმჯობესია, ადამიანები მათ მიერ შექმნილი კოქტეილით დანაყრდნენ.

– კოქტეილში შედის ყველა მკვებავი ნივთიერება, რომელიც ორგანიზმს სჭირდება, – ამბობენ ამერიკელი სწავლულები.

მათივე თქმით, კოქტეილში ვერ შეხვდებით ჯანმრთელობისთვის სახიფათო ტოქსინებსა და კანცეროგენებს. სამაგიეროდ აღმოაჩენთ ზეითუნის ზეთს, თევზის ქონს, ოლიგოსაქარიდებს, ანტიოქსიდანტებსა და პრობიოტიკებს. გარდა ამისა, კოქტეილი ყოველდღიურ საკვებთან შედარებით, მინიმუმ 3-ჯერ ნაკლები რაოდენობის კალორიას შეიცავს.

*myjane.ru*

# ჰოროსკოპი

***ვერძი 21.03-21.04***

**23 დეკემბერი:** ძალიან უნდა მოინდომოთ, რომ ერთი წუთით მაინც სიმშვიდე მოიპოვოთ. შეიძლება ამის გამო უხეშობაც მოგიწიოთ.

***კურო 22.04-21.05***

**23 დეკემბერი:** სანამ ახალ საქმეს წამოიწყებთ, ან სადმე გაემგზავრებით, შეეცადეთ, გადაუდებელი საქმეები დაასრულოთ, რადგან ეს იმაზე მეტ დროს წაგართმევთ, ვიდრე გგონიათ.

***ტყუპები 22.05-21.06***

**23 დეკემბერი:** წინდახედულება გმართებთ. სულელური შეცდომების დაშვების ალბათობა დიდია და მათზე სერიოზულად მოგთხოვენ პასუხს.

***კირჩხიბი 22.06-22.07***

**23 დეკემბერი:** ბევრ კითხვას ნუ დასვამთ, რადგან მათი გააზრება და პასუხის გაცემა გაუჭირდებათ. მხოლოდ ძირითად საკითხებს შეეხეთ.

***ლომი 23.07-22.08***

**23 დეკემბერი:** ზედმეტად ამაყი ნუ იქნებით. ასეთ შემთხვევაში საქმეები ბევრად კარგად წაგივათ და კონფლიქტებსაც თავიდან აიცილებთ.

***ქალწული 23.08-22.09***

**23 დეკემბერი:** მაქსიმალური სიფრთხილე და თავშეკავება გმართებთ. კონფლიქტურ სიტუაციებს და ელექტროხელსაწყოებს მოერიდეთ.

***სასწორი 23.09-22.10***

**23 დეკემბერი:** ხმაურიან კამპანიებს მოერიდეთ, ზომაზე მეტი ყურადღება მწყობრიდან გამოგიყვანთ. ამიტომ უმჯობესია, განმარტოვდეთ.

***მორიელი 23.10-21.11***

**23 დეკემბერი:** დღეს შესაძლოა, ბევრი რამ მოგინდეთ, თანაც ერთბაშად. ასე არაფერი გამოგივათ, პრიორიტეტი უნდა მიანიჭოთ რომელიმეს.

***მშვილდოსანი 22.11-21.12***

**23 დეკემბერი:** ყურადღებით იყავით, მდგომარეობის გაუმჯობესების კარგი საშუალება მოგეცემათ, რაც აუცილებლად უნდა შეამჩნიოთ.

***თხის რქა 22.12-19.01***

**23 დეკემბერი:** დღეს განსაკუთრებული დაკვირვების ობიექტი იქნებით. თქვენი წარმატებები და წარუმატებლობები საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება.

***მერწყული 20.01-18.02***

**23 დეკემბერი:** სრული ბედნიერებისთვის საზოგადოებრივი კეთილგანწყობა დაგჭირდებათ. მისი მოპოვების არც ერთი შანსი არ გაუშვათ ხელიდან.

***თევზები 19.02-20.03***

**23 დეკემბერი:** დროსა და ძალებს თქვენთვისაც გამონახავთ და სხვებისთვისაც, მაგრამ თუ ყველაფერს სწორად არ გათვლით, საღამომდე არც ერთი გაგყვებათ და არც მეორე.

## კალიფორნიელმა პინგვინებმა „აიპედზე“ თამაში ისწავლეს



გამოდის, რომ ჭორვილელმა პინგვინებმა მაშინ მანგანუმის მოპოვება უნდა „დაამულამონ“... ყოველ შემთხვევაში, ამერიკაში რაც არის თავზესაყრელად, წარმატებით რომ გამოიყენეს, ფაქტია.

სხვათა შორის, ისიც ფაქტია, რომ კომპიუტერული თამაშები მხოლოდ ადამიანს არ იტაცებს. კალიფორნიის ოკეანერიუმში „აიპედზე“ თამაშს უკვე პინგვინებიც კი ახერხებენ.

სპეციალისტების განმარტებით, წელიწადის გარკვეულ პერიოდებში პინგვინები აქტიურად ცდილობენ გამრავლების მიზნით პარტნიორები გამოძებნონ. რა თქმა უნდა, ეს მომწიფებული პინგვინების მისიაა, აი, ახალგაზრდებმა კი მოწყენისგან აღარ იციან, რა გააკეთონ.

კალიფორნიის ოკეანერიუმის თანამშრომლების თქმით, მათ მოეჩვენათ, რომ ახალგაზრდა პინგვინები მართლაც ძალიან მოწყენილები იყვნენ და უბრალოდ, სცადეს, მათთვის „აიპედი“ შეეთავაზებინათ.

ჰოდა, ექსპერიმენტმა გაამართლა კიდეც...

*mainfun.ru*

## ჩინელმა ბიზნესმენმა ქალიშვილს 150 მილიონის... მზითევი გაატანა



ვააააჰ, კაცო, რა მაგრად გაუმართლა სიძეს, წარმოგიდგენიათ?!

დღეს უკვე მზითევი უფრო ფორმალობაა და მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში კანონის დონეზეც კი იკრძალება.

მაგრამ, როგორც ყოველთვის, გამონაკლისები ამ შემთხვევაშიც არსებობს, თან ისეთი, გადაირევა კაცი.

როგორც ირკვევა, ჩინელმა ბიზნესმენმა ვუ დაიბიაომ საკუთარ ქალიშვილს ერთი, რომ მეფური ქორწილი გადაუხადა და მეორე და მთავარი – 150 მილიონის მხოლოდ მზითევი გაატანა.

ცნობილია, რომ მზითევს შორის იყო ოქროულობით სავსე 5 კოლოფი, 1 მილიონი აშშ დოლარი ნაღდი ფულით, 2 უძვირფასესი ავტომობილი, კომპანიის აქციათა პაკეტი, რომლის მფლობელი თავად ვუ დაიბიაოა. ასევე, მაღაზია, სახლი, ვილა ზღვის პირას.

ჰო, კიდევ ერთი – ამ გულუხვი ბიზნესმენის ქალიშვილი ცოლად სახელმწიფო მოხელემ შეირთო, რომლის წლიური შემოსავალი დაახლოებით 24 ათასი დოლარია.

*billionnews.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



მოგზაურობისას ორი ძმაკაცი ღამის გასათევად მდიდარი ქვრივის ვილას მიადგა...

9 თვის შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა ქვრივის ადვოკატისგან წერილი მიიღო და შეშფოთებულმა მაშინვე ძმაკაცს დაურეკა:

– ბიჭო, ის ქვრივი გახსოვს, ღამე რომ გაგვათენებინა?

– კი, მახსოვს...

– ისიც გახსოვს, რამდენჯერმე რომ შეხვედი მის საძინებელში და მერე მეტრაბახებოდი, ასეთი და ისეთი სექსი გვქონდაო?

– ნუუ... კი, ეგეც მახსოვს.

– და რა ქენი, იდიოტო, ჩემი გვარ-სახელით გაეცანი?

– ჰაჰაჰა... ხოოო... რაო, კვერცხო, შვილი შეეძინა? ჰაჰაჰააა...

– არა, ბატონო, ცდები!.. ქვრივი გარდაიცვალა და მთელი თავისი ქონება ჩემს სახელზე გადმოაფორმა!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია ⋙ 211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი (577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი



**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**



სარეკლამო სამსახური

☎ 2-333-170

577-444-442

მიხეილ სახვაძე

221 21 80

(შიდა ნომერი 108)

E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა–49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალმასიანის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.40